

შპს „ვიჯი“

ფინანსური და მმართველობის ანგარიშგება

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშო
წლისთვის

შინაარსი:

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	3
---------------------------------------	---

ფინანსური ანგარიშგებები

სრული შემოსავლის ანგარიშგება.....	6
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	7
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება.....	8
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	9

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია	10
2. მომზადების საფუძველი	10
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები	12
4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა	13
5. ამონაგები	17
6. გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება.....	17
7. გაყიდვის და მიწოდების ხარჯები	17
8. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	18
9. ფინანსური შემოსავალი/ხარჯი, ნეტო.....	18
10. უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით მიღებული ზარალი, ნეტო.....	18
11. ძირითადი საშუალებები	19
12. მარაგები	19
13. საგადასახადო აქტივები	19
14. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	20
15. ფული და ფულის ეკვივალენტები	21
16. მიღებული სესხები	22
17. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	22
18. პირობითი ვალდებულებები	23
19. დაკავშირებული მხარეები	23
20. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	24
21. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა.....	25

მმართველობის ანგარიშგება	32
--------------------------------	----

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „ვიჯი-ს“ ხელმძღვანელებს და დამფუძნებლებს

პირობითი მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს „ვიჯი“-ს (შემდგომში კომპანია) თანდართული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, ასევე აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისა და სხვა განმარტებითი ინფორმაციისგან.

ჩვენი აზრით, პირობითი მოსაზრების საფუძვლის აზრად აღწერილი საკითხის ფინანსური ანგარიშგებაზე შესაძლო გავლენის გარდა, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

ჩვენ ვერ დავაკვირდით 2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის და 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ჩატარებული მარაგების ინვენტარიზაციას, რადგან ჩვენ აუდიტორებად დავინიშნეთ 2019 წლის 6 მაისს. კომპანიის მარაგების სპეციფიკიდან გამომდინარე, სხვა ალტერნატიული პროცედურითაც ვერ შევძელით საკმარისი და აუცილებელი მტკიცებულების მოპოვება ზემოთ მოცემულ თარიღებში მარაგების რაოდენობაზე. შედეგად, ვერ განვსაზღვრეთ, საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა მარაგებთან და ფინანსური ანგარიშგების შემადგენელ სხვა ელემენტებთან დაკავშირებით.

აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით გათვალისწინებული ჩვენი პასუხისმგებლობა აღწერილია დასკვნის ნაწილში - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ ვართ კომპანიისგან დამოუკიდებელი, რაც გულისხმობს შესაბამისობას „ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს“ მიერ გამოცემული „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის“ მოთხოვნებთან და ამასთანავე, ვასრულებთ ამავე კოდექსით განსაზღვრულ სხვა ეთიკურ ვალდებულებებს.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

ხელმძღვანელობისა და მართვის უფლებით აღჭურვილ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე, შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია, შეაფასოს და საჭიროების შემთხვევაში, განმარტოს კომპანიის საქმიანობის უწყვეტობა და მასთან დაკავშირებული საკითხები. ასევე, ფინანსური ანგარიშგება მოამზადოს საქმიანობის უწყვეტობის დაშვების საფუძველზე, გარდა იმ შემთხვევისა, როცა განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია, ოპერაციების შეჩერება ან არ აქვს, ამის გარდა, სხვა არჩევანი. მართვის უფლებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის ფინანსური რეპორტირების პროცესს გაუწიონ ზედამხედველობა.

ხელმძღვანელობისა და მართვის უფლებით აღჭურვილ პირთა პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კომპანიის მმართველობის ანგარიშგება მოამზადოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მივიღოთ გონივრული რწმუნება, შეიცავს თუ არა ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს და გავცეთ დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას.

გონივრული რწმუნება არის რწმუნების მაღალი დონე, მაგრამ ის არ წარმოადგენს გარანტიას იმისა, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე ჩატარებული აუდიტი ყოველთვის შეძლებს არსებითი უზუსტობების გამოვლენას.

უზუსტობები შესაძლოა წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის შედეგად და არსებითად განიხილება, თუ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს მომხმარებელთა ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც მიიღება წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) თანახმად, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ მსჯელობას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ჩვენ ასევე:

- ვადგენთ და ვაფასებთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად არსებითი უზუსტობების დაშვების რისკებს, ვგეგმავთ და ვასრულებთ აუდიტორულ პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების მიზნით და მოვიპოვებთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად. თაღლითობის შედეგად წარმოშობილი არსებითი უზუსტობის ვერ აღმოჩენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს ფარულ გარიგებებს, გაყალბებებს, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, ინფორმაციის არასწორად წარმოდგენას ან შიდა კონტროლის უგულებელყოფას;
- შევისწავლით აუდიტისთვის მნიშვნელოვან შიდა კონტროლს, რათა დავგვემოთ მოცემული კონტრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე;
- ვაფასებთ გამოყენებული საბუღალტრო პოლიტიკების მიზანშეწონილობას, ასევე ხელმძღვანელობის მხრიდან წარმოდგენილი სააღრიცხვო შეფასებებისა და განმარტებითი შენიშვნების გონივრულობას;
- გამოგვაქვს დასკვნა ხელმძღვანელობის მიერ მოქმედი საწარმოს საბუღალტრო საფუძვლების გამოყენების მიზანშეწონილობის შესახებ, ასევე მიღებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე ვასკვნით, აქვს თუ არა ადგილი არსებით გაურკვევლობებს ისეთ მოვლენებსა და ვითარებებთან მიმართებაში, რომლებმაც შესაძლოა ეჭვის ქვეშ დააყენოს კომპანიის უნარი განაგრძოს ფუნქციონირება საწარმოს უწყვეტი ფუნციონირების პრინციპით. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ ადგილი აქვს არსებით გაურკვევლობას, ჩვენს აუდიტორთა დასკვნაში ყურადღებას გავამახვილებთ შესაბამის ინფორმაციაზე ფინანსურ ანგარიშგებაში ან, თუ ამგვარი ინფორმაცია არაადეკვატური იქნება, შევცვლით ჩვენს დასკვნას. ჩვენი მსჯელობებები ეფუძნება ჩვენი აუდიტორთა დასკვნის შედგენის თარიღამდე მიღებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. ამასთან, მომავალში წარმოშობილმა მოვლენებმა და შექმნილმა ვითარებებმა შესაძლოა აიძულოს კომპანია შეწყვიტოს ფუნქციონირება საწარმოს უწყვეტი ფუნციონირების პრინციპით;
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების ზოგად წარდგენას, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და იმას, წარმოაჩენს თუ არა ფინანსური ანგარიშგება ძირითად გარიგებებსა და მოვლენებს ისეთი ფორმით, რომ უზრუნველყოფილ იქნას მთლიანი დოკუმენტის კეთილსინდისიერად წარდგენა;

სხვა საკითხებთან ერთად ჩვენ კომუნიკაცია გვაქვს მართვის უფლებით აღჭურვილ პირებთან აუდიტის მასშტაბზე, ვადებზე და აუდიტის შედეგად აღმოჩენილი მნიშვნელოვან საკითხებზე, მათ შორის, შიდა კონტროლის ნაკლოვანებებზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი პასუხისმგებლობაა, გამოვთქვათ მოსაზრება კომპანიის მიერ წარმოდგენილი მმართველობის ანგარიშგების ფინანსურ ანგარიშგებასთან თანხვედნილობაზე და ასევე - მოიცავს თუ არა იგი “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას.

მოსაზრება “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის მოთხოვნებთან

აუდიტის დროს ჩატარებულ სამუშაოზე დაყრდნობით გამოვთქვამთ მოსაზრებას, რომ:

- 2018 წლის მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია, თანხვედრაშია ფინანსურ ანგარიშგებასთან ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით; და
- 2018 წლის მმართველობის ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით მოიცავს “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას.

დამოუკიდებელი აუდიტორის ამ დასკვნაში მოცემულ აუდიტის შედეგებზე პასუხისმგებელია გარიგების პარტნიორი:

დავით დარსაველიძე (რეესტრში რეგისტრაციის # SARAS-A-735032)

შპს „ბიდიოს“ სახელით

თბილისი, საქართველო

23 სექტემბერი 2019

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „ვიჯი-ს“ ხელმძღვანელებს და დამფუძნებლებს

პირობითი მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს „ვიჯი“-ს (შემდგომში კომპანია) თანდართული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, ასევე აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისა და სხვა განმარტებითი ინფორმაციისგან.

ჩვენი აზრით, პირობითი მოსაზრების საფუძვლის აბზაცში აღწერილი საკითხის ფინანსური ანგარიშგებაზე შესაძლო გავლენის გარდა, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

ჩვენ ვერ დავაკვირდით 2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის და 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ჩატარებული მარაგების ინვენტარიზაციას, რადგან ჩვენ აუდიტორებად დავინიშნეთ 2019 წლის 6 მაისს. კომპანიის მარაგების სპეციფიკიდან გამომდინარე, სხვა ალტერნატიული პროცედურითაც ვერ შევძელით საკმარისი და აუცილებელი მტკიცებულების მოპოვება ზემოთ მოცემულ თარიღებში მარაგების რაოდენობაზე. შედეგად, ვერ განვსაზღვრეთ, საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა მარაგებთან და ფინანსური ანგარიშგების შემადგენელ სხვა ელემენტებთან დაკავშირებით.

აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით გათვალისწინებული ჩვენი პასუხისმგებლობა აღწერილია დასკვნის ნაწილში - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ ვართ კომპანიისგან დამოუკიდებელი, რაც გულისხმობს შესაბამისობას „ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს“ მიერ გამოცემული „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის“ მოთხოვნებთან და ამასთანავე, ვასრულებთ ამავე კოდექსით განსაზღვრულ სხვა ეთიკურ ვალდებულებებს.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

ხელმძღვანელობისა და მართვის უფლებით აღჭურვილ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე, შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია, შეაფასოს და საჭიროების შემთხვევაში, განმარტოს კომპანიის საქმიანობის უწყვეტობა და მასთან დაკავშირებული საკითხები. ასევე, ფინანსური ანგარიშგება მოამზადოს საქმიანობის უწყვეტობის დაშვების საფუძველზე, გარდა იმ შემთხვევისა, როცა განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია, ოპერაციების შეჩერება ან არ აქვს, ამის გარდა, სხვა არჩევანი. მართვის უფლებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებელი არიან კომპანიის ფინანსური რეპორტირების პროცესს გაუწიონ ზედამხედველობა.

ხელმძღვანელობისა და მართვის უფლებით აღჭურვილ პირთა პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კომპანიის მმართველობის ანგარიშგება მოამზადოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მივიღოთ გონივრული რწმუნება, შეიცავს თუ არა ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს და გავცეთ დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას.

გონივრული რწმუნება არის რწმუნების მაღალი დონე, მაგრამ ის არ წარმოადგენს გარანტიას იმისა, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე ჩატარებული აუდიტი ყოველთვის შეძლებს არსებითი უზუსტობების გამოვლენას.

უზუსტობები შესაძლოა წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის შედეგად და არსებითად განიხილება, თუ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს მომხმარებელთა ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც მიიღება წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) თანახმად, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ მსჯელობას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ჩვენ ასევე:

- ვადგენთ და ვაფასებთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად არსებითი უზუსტობების დაშვების რისკებს, ვგეგმავთ და ვასრულებთ აუდიტორულ პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების მიზნით და მოვიპოვებთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად. თაღლითობის შედეგად წარმოშობილი არსებითი უზუსტობის ვერ აღმოჩენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს ფარულ გარიგებებს, გაყალბებებს, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, ინფორმაციის არასწორად წარმოდგენას ან შიდა კონტროლის უგულებელყოფას;
- შევისწავლით აუდიტისთვის მნიშვნელოვან შიდა კონტროლს, რათა დავეგეგმოთ მოცემული კონტრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე;
- ვაფასებთ გამოყენებული საბუღალტრო პოლიტიკების მიზანშეწონილობას, ასევე ხელმძღვანელობის მხრიდან წარმოდგენილი სააღრიცხვო შეფასებებისა და განმარტებითი შენიშვნების გონივრულობას;
- გამოგვაქვს დასკვნა ხელმძღვანელობის მიერ მოქმედი საწარმოს საბუღალტრო საფუძველების გამოყენების მიზანშეწონილობის შესახებ, ასევე მიღებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე ვასკვნით, აქვს თუ არა ადგილი არსებით გაურკვევლობებს ისეთ მოვლენებსა და ვითარებებთან მიმართებაში, რომლებმაც შესაძლოა ეჭვის ქვეშ დააყენოს კომპანიის უნარი განაგრძოს ფუნქციონირება საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპით. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ ადგილი აქვს არსებით გაურკვევლობას, ჩვენს აუდიტორთა დასკვნაში ყურადღებას გავამახვილებთ შესაბამის ინფორმაციაზე ფინანსურ ანგარიშგებაში ან, თუ ამგვარი ინფორმაცია არაადეკვატური იქნება, შევცვლით ჩვენს დასკვნას. ჩვენი მსჯელობებები ეფუძნება ჩვენი აუდიტორთა დასკვნის შედგენის თარიღამდე მიღებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. ამასთან, მომავალში წარმოშობილმა მოვლენებმა და შექმნილმა ვითარებებმა შესაძლოა აიძულოს კომპანია შეწყვიტოს ფუნქციონირება საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპით;

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების ზოგად წარდგენას, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და იმას, წარმოაჩენს თუ არა ფინანსური ანგარიშგება ძირითად გარიგებებსა და მოვლენებს ისეთი ფორმით, რომ უზრუნველყოფილ იქნას მთლიანი დოკუმენტის კეთილსინდისიერად წარდგენა;

სხვა საკითხებთან ერთად ჩვენ კომუნიკაცია გვაქვს მართვის უფლებით აღჭურვილ პირებთან აუდიტის მასშტაბზე, ვადებზე და აუდიტის შედეგად აღმოჩენილი მნიშვნელოვან საკითხებზე, მათ შორის, შიდა კონტროლის ნაკლოვანებებზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი პასუხისმგებლობაა, გამოვთქვათ მოსაზრება კომპანიის მიერ წარმოდგენილი მმართველობის ანგარიშგების ფინანსურ ანგარიშგებასთან თანხვედნილობაზე და ასევე - მოიცავს თუ არა იგი “ზუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას.

მოსაზრება “ზუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის მოთხოვნებთან

აუდიტის დროს ჩატარებულ სამუშაოზე დაყრდნობით გამოვთქვამთ მოსაზრებას, რომ:

- 2018 წლის მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია, თანხვედრაშია ფინანსურ ანგარიშგებასთან ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით; და
- 2018 წლის მმართველობის ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით მოიცავს “ზუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას.

დამოუკიდებელი აუდიტორის ამ დასკვნაში მოცემულ აუდიტის შედეგებზე პასუხისმგებელია გარიგების პარტნიორი:



დავით დარსაველიძე (რეესტრში რეგისტრაციის # SARAS-A-735032)

შპს „ბიდიოს“ სახელით

თბილისი, საქართველო

23 სექტემბერი 2019

შპს „ვიჯი“

სრული შემოსავლის ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს
(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	2018	2017
ამონაგები	5	21,620,177	19,474,489
გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება	6	(16,146,962)	(14,629,496)
საერთო მოგება		5,473,215	4,844,993
სხვა შემოსავალი		-	73,286
გაყიდვის და მიწოდების ხარჯები	7	(3,274,725)	(2,687,903)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	8	(1,352,469)	(1,468,590)
საოპერაციო მოგება		846,021	761,786
ფინანსური შემოსავალი/(ხარჯი), ნეტო	9	53,101	80,361
უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით მიღებული ზარალი, ნეტო	10	(13,839)	(32,444)
წლის სრული შემოსავალი		885,283	809,703

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის მომზადებული ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2019 წლის 23 სექტემბერს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი	_____	დავით ქალდანი
ფინანსური დირექტორი	_____	მარი გელაძე

შპს „ვიჯი“

სრული შემოსავლის ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს
(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	2018	2017
ამონაგები	5	21,620,177	19,474,489
გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება	6	(16,146,962)	(14,629,496)
საერთო მოგება		5,473,215	4,844,993
სხვა შემოსავალი		-	73,286
გაყიდვის და მიწოდების ხარჯები	7	(3,274,725)	(2,687,903)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	8	(1,352,469)	(1,468,590)
საოპერაციო მოგება		846,021	761,786
ფინანსური შემოსავალი/(ხარჯი), ნეტო	9	53,101	80,361
უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით მიღებული ზარალი, ნეტო	10	(13,839)	(32,444)
წლის სრულო შემოსავალი		885,283	809,703

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის მომზადებული ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2019 წლის 23 სექტემბერს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი

ფინანსური დირექტორი

დავით ქალდანი

მარი გელაძე

შპს „ვიჯი“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	31.12.2018	31.12.2017	01.01.2017
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
არამატერიალური აქტივები		30,964	26,705	30,738
ძირითადი საშუალებები	11	650,258	727,538	807,083
		681,222	754,243	837,821
მიმდინარე აქტივები				
მარაგები	12	2,467,875	2,705,824	1,828,418
საგადასახადო აქტივები	13	-	19,453	-
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	14	4,677,134	4,788,672	2,952,746
ფული და ფულის ეკვივალენტები	15	1,960,446	1,825,282	1,725,069
		9,105,455	9,339,231	6,506,233
სულ აქტივები		9,786,677	10,093,474	7,344,054
კაპიტალი და ვალდებულებები				
კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		8,310,101	8,310,101	8,310,101
დაგროვილი ზარალი		(1,304,165)	(2,189,448)	(2,999,151)
		7,005,936	6,120,653	5,310,950
გრძელვადიანი ვალდებულებები				
მიღებული სესხები	16	591,669	764,017	-
		591,669	764,017	-
მიმდინარე ვალდებულებები				
საგადასახადი ვალდებულებები	13	84,854	-	101,316
მიღებული სესხები	16	358,998	144,954	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	17	1,745,220	3,063,850	1,931,788
		2,189,072	3,208,804	2,033,104
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		9,786,677	10,093,474	7,344,054

10 - 31 გვერდებზე წარმოდგენილი განმარტებითი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს „ვიჯი“

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს

(ქართულ ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	დაგროვილი ზარალი	სულ
2017 წლის 1 იანვარი	8,310,101	(2,989,686)	5,310,950
წლის სრული შემოსავალი	-	809,703	809,703
2017 წლის 31 დეკემბერი	8,310,101	(2,189,448)	6,120,653
წლის სრული შემოსავალი	-	885,283	885,283
2018 წლის 31 დეკემბერი	8,310,101	(1,304,165)	7,005,936

10 - 31 გვერდებზე წარმოდგენილი განმარტებითი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს „ვიჯი“

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

საანგარიშო წლისთვის რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს
(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	2018	2017
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან მოგება დაბეგვრამდე		885,283	809,703
კორექტირებები:			
საპროცენტო შემოსავალი	9	(121,108)	(38,677)
საექვო მოთხოვნების რეზერვის ცვლილება	14	281,541	604,927
მარაგების გაუფასურება	8	274,383	148,178
ცვეთა და ამორტიზაცია		169,875	171,766
საპროცენტო ხარჯები	9	38,726	3,938
ძირითადი საშუალებების გასვლიდან მიღებული ზარალი		32,154	42,090
კურსთაშორის სხვაობისგან მიღებული ზარალი	9; 10	43,120	(13,178)
ფულადი ნაკადები საბრუნავ კაპიტალში ცვლილებამდე		1,603,974	1,728,747
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ზრდა		(83,530)	(2,441,015)
მარაგების ზრდა		(36,434)	(1,025,584)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებების (შემცირება)/ზრდა		(1,397,605)	1,194,051
საგადასახადო აქტივის/ვალდებულებების შემცირება		104,307	(120,769)
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან გადახდილი პროცენტი	16	190,712	(664,570)
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		181,081	(666,790)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შეძენა		(129,008)	(130,279)
მიღებული პროცენტი	9	121,108	38,677
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები		(7,900)	(91,602)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
სესხის დაფარვა	16	(16,680)	-
სესხის მიღება	16	-	952,875
საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები		(16,680)	952,875
ფულადი სახსრების წმინდა ზრდა		156,501	194,483
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	15	1,825,282	1,725,069
სავალუტო კურსის ცვლილების ეფექტი ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	10	(21,337)	(94,270)
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	15	1,960,446	1,825,283

10 - 31 გვერდებზე წარმოდგენილი განმარტებითი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „ვიჯი“ (შემდგომში - კომპანია) არის საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად საქართველოში დაფუძნებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც დაარსდა 2010 წლის იანვარში. შპს „ვიჯი“ წარმოადგენს სადისტრიბუციო კომპანიას, რომლის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საკვები პროდუქტების იმპორტი და დისტრიბუცია საქართველოს მასშტაბით.

2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის და 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით კომპანიის მფლობელთა სტრუქტურა შემდეგია:

- აიდინ თალიბოვი (C00551204) – 69.49%
- ილგარ თალიბოვი (C00971364) – 22.71%
- ბახტიარ ალლაჰვერდი (C00571837) – 7.80%

ზემოაღნიშნული წილების ფორმირება მოხდა 2014 წლის 18 ივნისს პარტნიორთა კრების გადაწყვეტილებით, თუმცა აღნიშნული ცვლილება არ არის რეგისტრირებული საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში.

კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ.თბილისი, ქინძმარაულის ქ.№7.

კომპანიის დირექტორია დავით ქალდანი (პ.ფ. 01011030205).

2. მომზადების საფუძველი

მოცემული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის (ბასსკ) მიერ გამოშვებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების (მთლიანობაში ფასს-ები) შესაბამისად.

მოცემული ანგარიშგება არის კომპანიის მიერ ფასს-ების მიხედვით მომზადებული პირველი ფინანსური ანგარიშგება და გამოყენებულ იქნა ფასს-1 „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების პირველად გამოყენება“. ფინანსური ანგარიშგების ფასს-ებზე გადასვლის თარიღია 2017 წლის 1 იანვარი.

კომპანიის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა შესაბამისობაშია ყველა იმ სტანდარტთან, რომელიც ძალაშია საანგარიშგებო წლის ბოლოს - 2018 წლის 31 დეკემბერი.

კომპანია არ იყენებს სხვადასხვა ვერსიას იმ ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან დაკავშირებით, რომელიც წინა თარიღებისათვის იყო ძალაში და რომელთა დაკავშირებითაც შესული ცვლილებების სავალდებულო გამოყენება ძალაში შევიდა 2018 წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას. კომპანია არ იყენებს ახალ ფასს-ბს, რომელთა გამოყენება სავალდებულო არ არის, თუ სტანდარტით დაშვებულია მისი ვადამდელი დანერგვა.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით - ანუ დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. კომპანიის ხელმძღვანელობას და მფლობელებს სურვილი აქვთ, განავითარონ კომპანიის საქმიანობა საქართველოში. ხელმძღვანელობისთვის არ არის ცნობილი რაიმე განუსაზღვრელობა, რამაც შეიძლება საფრთხე შეუქმნას კომპანიის საქმიანობის უწყვეტობას. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება შესაბამისია კომპანიისთვის.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულებების საფუძველზე.

ფინანსური ანგარიშგების ფასს-ის მიხედვით მომზადება კომპანიის ხელმძღვანელობისაგან ითხოვს გარკვეული შეფასებების გაკეთებას, რაც გავლენას იქონიებს აქტივებისა და ვალდებულებების საანგარიშო ღირებულებაზე ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის, ასევე იმოქმედებს შემოსავლისა და ხარჯების ოდენობაზე საანგარიშო პერიოდის განმავლობაში. ფაქტიური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს მიმდინარე შეფასებისაგან. შეფასებები პერიოდულად გადაიხედება. კორექტირებები, რამაც სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებები გამოიწვია, მიეკუთვნება იმ პერიოდის ფინანსურ შედეგებს, როცა ეს ცვლილებები მოხდა. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების შესახებ განმარტებები მოცემულია მე-3 განმარტებით შენიშვნაში.

2. მომზადების საფუძველი (გაგრძელება)

ახალი ფასს-ების მიღება

ა) 2018 წლის 1 იანვრის შემდეგ ძალაში მყოფი ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები:

ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები ან შესწორებები, რომელიც ეფექტურია 2018 წლის 1 იანვრიდან და კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე ჰქონდა ზეგავლენა, არის:

- ფასს 9 – „ფინანსური ინსტრუმენტები“;
- ფასს 15 – „ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან“;

ფასს 15-ს და ფასს 9-ს, სტანდარტის მოთხოვნებზე გადასვლის თარიღისთვის, არ ჰქონია მნიშვნელოვანი გავლენა ფინანსურ ანგარიშგებაზე, შესაბამისად, კომპანიას არ გაუკეთებია ნაშთების კორექტირება.

ბ) ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ არ არის ძალაში შესული 1 იანვრისთვის:

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღამდე გამოქვეყნდა გარკვეული ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და ცვლილებები არსებულ სტანდარტებში, რომლებიც ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვრის შემდგომ პერიოდში და რომლებიც კომპანიას ნაადრევად არ მიუღია. სტანდარტები, რომლებიც სავარაუდოდ გავლენას მოახდენს კომპანიაზე ან რომელთა გავლენაც ამჟამად ფასდება, ასეთია:

ფასს 16 იჯარა

ფასს 16 იჯარა ჩაანაცვლებს არსებული იჯარის აღრიცხვის შემდეგ მეთოდურ მითითებებს: ბასს 17 ლიზინგი, IFRIC 4 განვსაზღვროთ შეიცავს თუ არა ხელშეკრულება იჯარას, SIC-15 საოპერაციო იჯარა - სტიმულირება და SIC-27 გარიგების შინაარსის შეფასება, რომელიც შეიცავს იჯარის სამართლებრივ ფორმას. იგი აუქმებს მოიჯარეთათვის არსებულ ორმაგ სააღრიცხვო პრინციპს, რომელიც განასხვავებს ფინანსურ და საოპერაციო იჯარას, სანაცვლოდ, რჩება ერთი ბალანსზე აღრიცხვის მოდელი, რომელიც მსგავსია ბასს 17-ის მიხედვით ფინანსური იჯარის აღრიცხვის პრინციპისა.

იჯარის გამცემის აღრიცხვის პრინციპები არსებული პრაქტიკის შესაბამისი რჩება - იჯარის გამცემი განაგრძობს იჯარის კლასიფიკაციას ფინანსურ და საოპერაციო იჯარებად.

სტანდარტი მოიცავს ორ გამონაკლისს: საიჯარო აქტივის დაბალი ღირებულება (მაგალითად, საოფისე კომპიუტერული ტექნიკა და ავეჯი) და მოკლევადიანი იჯარები (იჯარა, რომლის ვადა ტოლია ან ნაკლებია 12 თვეზე). იჯარის დაწყების თარიღისთვის, მოიჯარე აღიარებს იჯარის ვალდებულებას და აქტივს, როგორც აქტივის გამოყენების უფლებას იჯარის ვადის განმავლობაში. მოიჯარემ ცალკე უნდა აღიაროს საიჯარო ვალდებულების საპროცენტო ხარჯი და აქტივის გამოყენების უფლების ცვეთის ხარჯი.

ფასს 16 მოქმედებს ყოველწლიური საანგარიშგებო პერიოდებისთვის, რომელიც იწყება 2019 წლის 1 იანვარს ან ამ თარიღის შემდეგ. კომპანია აფასებს მომავალში ფასს 16-ის გამოყენების მოსალოდნელ გავლენას ფინანსურ ანგარიშგებაზე.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს კომპანიის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

3.1 ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები

კომპანია გადახედავს ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებს ანგარიშგების ყოველი წლიური პერიოდის ბოლოს. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, ხელმძღვანელობა განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება.

3.2 ფინანსური აქტივების გაუფასურება

კომპანია ხელმძღვანელობს „მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების“ (ECL) მოდელით. ეს საჭიროებს მსჯელობას იმის შესახებ თუ როგორ იმოქმედებს ეკონომიკური ფაქტორები ECL მოდელზე, რაც განისაზღვრება შეწონილი ალბათობის საფუძველზე. ფასს 9-ის მიხედვით, ზარალის ანარცხის განსაზღვრა ხდება შემდეგნაირად: ა) 12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი - ისეთი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი, რომელიც გამოწვეულია იმ დეფოლტის მოვლენებისგან ფინანსურ ინსტრუმენტებზე, რომელთა მოხდენაც შესაძლებელია შემდგომი 12 თვის განმავლობაში. ბ) არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი - ისეთი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი, რომელიც გამოწვეულია ყველა შესაძლო დეფოლტის მოვლენისგან, რომელთა მოხდენაც შესაძლებელია ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი არსებობის მანძილზე.

არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასების მოდელი მოქმედებს მაშინ, როდესაც ფინანსური აქტივი საკრედიტო რისკი ანგარიშგების პერიოდისათვის მნიშვნელოვნად გაზრდილია მის თავდაპირველ ალიარებასთან შედარებით, ხოლო თუ არ არის გაზრდილი 12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი. კომპანიას შეუძლია განსაზღვროს რომ ფინანსური აქტივის საკრედიტო რისკი არ გაზრდილა მნიშვნელოვნად, იმ შემთხვევაში თუ აქტივს აქვს დაბალი საკრედიტო რისკი ანგარიშგების წარდგენის პერიოდისათვის. თუმცა, არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოქმედება ყოველთვის ვრცელდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნებზე. ინფორმაცია სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურების შესახებ მოცემულია მე-14 განმარტებით შენიშვნაში. მომავალ პერიოდთან დაკავშირებული განუსაზღვრელობებიდან გამომდინარე ფაქტიური შედეგი შესაძლებელია მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს იმ შედეგისგან, რომელიც აღრიცხულია ფინანსურ ანგარიშგებაში.

3.3 სასამართლო დავები

კომპანია ყოველი საანგარიშგებო პერიოდისათვის განიხილავს მიმდინარე სასამართლო დავების სამართალწარმოებას, რათა შეაფასოს ანარიცხის საჭიროება და განმარტოს ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში. ანარიცხების შეფასებისას კომპანია ითვალისწინებს სასამართლო პროცესის მიმდინარეობას, საკანონმდებლო მოთხოვნებს, ზარალის მოსალოდნელ ოდენობას, იურისტების და შესაბამისი სფეროს სპეციალისტების მოსაზრებას, მსგავსი დავების პრაქტიკულ შედეგებს. მომავალ პერიოდთან დაკავშირებული განუსაზღვრელობებიდან გამომდინარე ფაქტიური შედეგი შესაძლებელია მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს იმ შედეგისგან, რაც აღრიცხულია ფინანსურ ანგარიშგებაში.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს

(ქართულ ლარში)

4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა

რისკი თანდაყოლილი მოვლენაა კომპანიის საქმიანობისთვის, მაგრამ მისი მართვა შესაძლებელია რეგულარული ღონისძიებებით, როგორიცაა რისკების იდენტიფიცირება, შეფასება და ყოველდღიური მონიტორინგი, რის შედეგადაც დგინდება რისკის ლიმიტი და იქმნება კონტროლის მექანიზმები.

კომპანია, თავისი საქმიანობის მანძილზე დგას შემდეგი ფინანსური რისკების წინაშე:

- საკრედიტო რისკი
- ლიკვიდურობის რისკი
- უცხოური ვალუტის რისკი

კომპანია საოპერაციო საქმიანობის ნაწილში დგას ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებიდან წარმოქმნილი რისკების წინაშე. ეს განმარტებითი შენიშვნა აღწერს კომპანიის მიზნებს, პოლიტიკებსა და პროცედურებს რისკების მართვისათვის და რისკების შეფასების მეთოდებს. ამ რისკებთან დაკავშირებული დამატებითი რაოდენობრივი ინფორმაცია წარმოდგენილია ფინანსურ ანგარიშგებაში.

ფინანსური ინსტრუმენტების ძირითადი კატეგორიები

კომპანიის ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს და მიღებულ სესხებს. ამ ფინანსური ინსტრუმენტების მთავარი მიზანია კომპანიის საბრუნავი საშუალებების დაფინანსება. კომპანიას გააჩნია ისეთი ფინანსური აქტივები როგორიცაა სავაჭრო და სხვა მოთხოვნები, ფული და ფულის ეკვივალენტები.

ფინანსური ინსტრუმენტების ძირითადი კატეგორიები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2018	31.12.2017	01.01.2017
ფინანსური აქტივები			
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	4,400,197	2,866,825	2,364,937
ფული და ფულის ეკვივალენტები	1,960,446	1,825,282	1,725,069
	6,360,643	4,692,107	4,090,006
ფინანსური ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1,724,384	2,072,685	1,894,549
მიღებული სესხები	950,667	908,971	-
	2,675,051	2,981,656	1,894,549

ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება

რეალური ღირებულება არის საფასური, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვისას ან გადაიხდება ვალდებულების გადასაცემად ორგანიზებულ ოპერაციაში საბაზრო მონაწილეებს შორის შეფასების დღეს, ან ასეთის არ არსებობის შემთხვევაში იმ ბაზრის მიხედვით რომელზეც აქვს წვდომა კომპანიას და ყველაზე ხელსაყრელია მოცემული თარიღისათვის. როცა შესაძლებელია, ინსტრუმენტის რეალური ღირებულებას კომპანია განსაზღვრავს მოცემული ინსტრუმენტის მოქმედ ბაზარზე კოტირებული ფასით. ბაზარი მოქმედად ითვლება, თუ აქტივებისა და ვალდებულებების ოპერაციები მიმდინარეობს საკმარისი სიხშირითა და მოცულობით, რათა უზრუნველყოს ინფორმაცია ფასების თაობაზე მუდმივ რეჟიმში.

თუ მოქმედ ბაზარზე არ არსებობს კოტირებული ფასი, კომპანია რეალურ ღირებულებას განსაზღვრავს შეფასების მეთოდების გამოყენებით. შერჩეული შეფასების მეთოდი მაქსიმალურად იყენებს დაკვირვებად საბაზრო მონაცემებს, მინიმალურად ეყრდნობა არასაბაზრო მონაცემებს და ითვალისწინებს ყველა იმ ფაქტორს, რომელსაც ბაზრის მონაწილეები ფასის დადგენისას მიიღებდნენ მხედველობაში. თავდაპირველი აღიარებისას ამა თუ იმ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულების საუკეთესო მტკიცებულება არის გარიგების ფასი, ანუ გადახდილი ან მიღებული საკომპენსაციო თანხის რეალური ღირებულება. თუ კომპანია გადაწყვეტს, რომ რეალური ღირებულება თავდაპირველი აღიარებისას განსხვავდება გარიგების ფასისგან და რეალური ღირებულება არ დასტურდება იდენტური აქტივის ან ვალდებულების მოქმედ ბაზარზე არსებული კოტირებული ფასით, ასევე, ეს ღირებულება არ ეფუძნება შეფასებას ისეთი მეთოდის საფუძველზე, რომლის ცვლადებიც მოიცავენ მხოლოდ დაკვირვებადი ბაზრების მონაცემებს,

4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

ასეთ შემთხვევაში ფინანსური ინსტრუმენტი თავდაპირველად შეფასდება რეალური ღირებულებით, რომელიც დაკორექტირდება სხვაობით ამ ღირებულებასა და გარიგების ღირებულებას შორის.

ნებისმიერი სხვაობა ამ ღირებულებასა და შეფასების მეთოდით მიღებულ თავდაპირველ ღირებულებას შორის მოგვიანებით სათანადო წესით აღიარდება მოგებაში ან ზარალში, ინსტრუმენტის სასიცოცხლო ვადის განმავლობაში, მაგრამ არაუგვიანეს იმ დროისა, როცა შეფასება მთლიანად ეყრდნობა დაკვირვებადი ბაზრის მონაცემებს ან როდესაც გარიგება დაიხურება.

კომპანია ადგენს რეალურ ღირებულებას შემდეგი იერარქიის გამოყენებით, რომელიც ასახავს შეფასების გაკეთებისას გამოყენებული მონაცემების მნიშვნელობას:

დონე 1: კოტირებული საბაზრო ფასი (კორექტირების გარეშე) მოქმედ ბაზარზე ანალოგიური ფინანსური ინსტრუმენტისთვის;

დონე 2: მონაცემები გარდა იმისა, რაც შედის პირველ დონეში და რომლებიც თვალსაჩინოა როგორც პირდაპირ (ფასები), ასევე ირიბად (ფასებისაგან წარმოებული). ეს კატეგორია მოიცავს ინსტრუმენტებს, რომლებიც ფასდება შემდეგი მონაცემების გამოყენებით: მოქმედ ბაზრებზე კოტირებული საბაზრო ფასები მსგავსი ფინანსური ინსტრუმენტებისთვის; კოტირებული ფასები მსგავსი ინსტრუმენტებისთვის, რომლებიც ნაკლებად აქტიურად მიიჩნევა; ან შეფასების სხვა მეთოდები, რომლის ფარგლებშიც ყველა მნიშვნელოვანი მონაცემი არის პირდაპირ ან ირიბად თვალსაჩინო, საბაზრო მონაცემებიდან გამომდინარე;

დონე 3: არათვალსაჩინო მონაცემები. აღნიშნული კატეგორია მოიცავს ყველა ინსტრუმენტს, რომლის ფარგლებში შეფასების მეთოდიკა მოიცავს მონაცემებს, რომლებიც არ ეყრდნობიან თვალსაჩინო მონაცემებს და არათვალსაჩინო მონაცემები მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ ინსტრუმენტის შეფასებაზე. აღნიშნული კატეგორია მოიცავს ინსტრუმენტებს, რომელთა შეფასება ხდება მსგავსი ინსტრუმენტებისთვის კოტირებული ფასების საფუძველზე, რომლის ფარგლებში მნიშვნელოვანი არათვალსაჩინო კორექტირებები ან დაშვებებია საჭირო, რათა აისახოს სხვაობები ინსტრუმენტებს შორის.

რეალური ღირებულების შეფასება, რომელიც გამოყენებულია ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ინსტრუმენტებისთვის - სავაჭრო და სხვა მოთხოვნები, სავაჭრო და სხვა ვალდებულებები და მიღებული სესხები მოხდა მე-3 იერარქიის საფუძველზე. აღნიშნული იერარქიებისთვის მოხდა დისკონტირებული ფულადი ნაკადების მეთოდის გამოყენებით. რეალური ღირებულების შეფასება არაკოტირებული ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე ფინანსური ინსტრუმენტებისთვის მოხდა მოსალოდნელი მომავალი ფულადი ნაკადების საფუძველზე, რომელიც დადისკონტირებულია მიმდინარე საპროცენტო განაკვეთით, რომელიც დამახასიათებელია მსგავსი საკრედიტო რისკის და დაფარვის ვადის მქონე ახალი ფინანსური ინსტრუმენტისთვის. 2018 და 2017 წლის 31 დეკემბერს და 1 იანვარს დასრულებული წლებისთვის არ მომხდარა ცვლილება მე-3 დონის შეფასების იერარქიისთვის გამოყენებულ შეფასების მეთოდოლოგიაში. ფული და ფულის ეკვივალენტების რეალური ღირებულება შეფასებულია პირველი დონის მიხედვით.

კაპიტალის მართვა

კომპანია თავის კაპიტალთან დაკავშირებულ რისკს მართავს იმისათვის, რომ უზრუნველყოს ფუნქციონირებად საწარმოდ დარჩენა და ამავდროულად დაინტერესებული მხარეების უკუგების მაქსიმიზაცია, მოზიდული და საკუთარი კაპიტალის ოპტიმალური ბალანსის დაცვის გზით. კომპანიის ხელმძღვანელობა რეგულარულად მიმოიხილავს კაპიტალის სტრუქტურას.

ზოგადი მიზნები, პოლიტიკა და პროცესები

კომპანიის ხელმძღვანელობას გააჩნია საერთო პასუხისმგებლობა კომპანიის რისკების მართვის მიზნებისა და პოლიტიკის განსაზღვრისთვის, ამასთანავე, პასუხისმგებლობის შენარჩუნებასთან ერთად, მიზნებისა და პროცესების ეფექტურად დანერგვისთვის მას დელეგირებული აქვს პროცესების შემუშავებისა და ოპერირების უფლება კომპანიის ფინანსური მხარისთვის. კომპანიის ხელმძღვანელობა ღებულობს ყოველთვიურ ანგარიშგებას კომპანიის ფინანსური მხარისგან, მიმოიხილავს თავიანთი დასახული მიზნებისა და პოლიტიკის შესრულებისათვის განხორციელებული პროცესების ეფექტურობას.

კომპანიის ხელმძღვანელობის მთავარი მიზანი არის დაიცვას კომპანია რისკის მიუღებელი დონისაგან და საშუალება მისცეს მას მიაღწიოს საქმიანობის მიზანს. აღნიშნულ პოლიტიკასთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია მოცემულია ქვემოთ:

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს

(ქართულ ლარში)

4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის ფულადი ზარალის მიღების რისკი დებიტორის ან სხვა კონტრაგენტის მიერ კრედიტორული დავალიანების დაუფარავობის შემთხვევაში. კომპანიის საფრთხეს საკრედიტო რისკთან დაკავშირებით განაპირობებს თითოეული მომხმარებლის ინდივიდუალური მახასიათებლები. კომპანიის საკრედიტო რისკი ძირითადად განპირობებულია სავაჭრო და სხვა მოთხოვნებიდან და ფული და ფულის ეკვივალენტებიდან (გარდა ნაღდი ფულისა).

კომპანია საკრედიტო რისკს მართავს გარკვეული პრინციპების საფუძველზე, რომლებიც ითვალისწინებს ყველა დაუფარავი საკრედიტო თანხის დაფარვის კონტროლს და პრობლემური ფინანსური აქტივების ინტენსიურ მართვას. საკრედიტო რისკის მონიტორინგის მიზნით, კომპანია მომხმარებლებს აერთიანებს მათი ვადაგადაცემის სტატუსის მიხედვით. საკრედიტო რისკის სამართავად კომპანია განიხილავს შემდეგ ფაქტორებს: კონტრაგენტი იურიდიული პირი თუ ფიზიკური, ქსელური მალაზია თუ ტრადიციული, მომხმარებლების გეოგრაფიულ განაწილებას და წარსულში ფინანსური სიძნელეების არსებობას. ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს მაქსიმალურ საკრედიტო რისკს (გარდა ნაღდი ფულისა).

კომპანია საკრედიტო რისკის მართვის პოლიტიკის ფარგლებში ახორციელებს ფინანსური აქტივების საკრედიტო ხარისხის ანალიზს. სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საკრედიტო ხარისხის ანალიზი მოცემულია მე-14 განმარტებით შენიშვნაში. კომპანია ახორციელებს ფინანსური აქტივების დარეზერვებას ფასს 9-ის - „ფინანსური ინსტრუმენტები“ მოთხოვნების შესაბამისად. დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ 21-ე განმარტებითი შენიშვნა.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი განისაზღვრება, როგორც რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულება მერყევი იქნება სავალუტო კურსის ცვალებადობის გამო. კომპანიას გააჩნია უცხოურ ვალუტაში განხორციელებული გარკვეული ოპერაციები. კომპანია არ იყენებს დერივატივებს სავალუტო რისკის მართვისთვის.

უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	ლარი	დოლარი	სულ
ფინანსური აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	1,960,375	71	1,960,446
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	4,400,197	-	4,400,197
	6,360,572	71	6,360,643
ფინანსური ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	407,694	1,316,690	1,724,384
მიღებული სესხები	-	950,667	950,667
	407,694	2,267,357	2,675,051
სავალუტო პოზიცია	5,952,878	(2,267,286)	

უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	ლარი	დოლარი	სულ
ფინანსური აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	1,753,309	71,973	1,825,282
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2,866,825	-	2,866,825
	4,620,134	71,973	4,692,107
ფინანსური ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	226,364	1,846,321	2,072,685
მიღებული სესხები	-	908,971	908,971
	226,364	2,755,292	2,981,656
სავალუტო პოზიცია	4,393,770	(2,683,319)	

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს

(ქართულ ლარში)

4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	ლარი	დოლარი	სულ
ფინანსური აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	1,725,061	8	1,725,069
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2,364,937	-	2,364,937
	4,089,998	8	4,090,006
ფინანსური ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	245,962	1,648,587	1,894,549
	245,962	1,648,587	1,894,549
სავალუტო პოზიცია	3,844,036	(1,648,579)	

ქვემოთ მოცემული ცხრილი წარმოადგენს კომპანიის მგრძნობელობას შესაბამისი უცხოური ვალუტების ლართან მიმართებაში 20%-ით გაზრდაზე და შემცირებაზე. 20% არის მგრძნობიარობის განაკვეთი, რომელიც გამოიყენება კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ სავალუტო რისკის შიდა კონტროლისთვის და წარმოადგენს სავალუტო კურსის სხვაობის შეფასებას კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ. მგრძნობელობის ანალიზი მოიცავს მხოლოდ უცხოურ ვალუტაში გამოხატულ დაუფარავ ფულად მუხლებს და აკორექტირებს მათ გადაფასებას პერიოდის ბოლოს სავალუტო კურსების გონივრულობის ფარგლებში მოსალოდნელი ცვლილების მიხედვით.

2018 და 2017 წლების 31 დეკემბრისთვის და 2017 წლის 1 იანვრის წმინდა მოგებასა და კაპიტალზე გადაფასების ეფექტი შემდეგია:

	31 დეკემბერი 2018		31 დეკემბერი 2017		1 იანვარი 2017	
	+20%	-20%	+20%	-20%	+20%	-20%
ვალუტის კურსის მგრძნობელობა						
დოლარის ეფექტი	(453,457)	453,457	(536,664)	536,664	(329,716)	329,716

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკში იგულისხმება საკმარისი ფინანსური რესურსის არსებობა, რათა მოხდეს სესხების გასტუმრება და სხვა ფინანსური ვალდებულებების დაფარვა შესაბამის ვადაში.

ლიკვიდურობის რისკის მართვისთვის ხელმძღვანელობა ახორციელებს სისტემატურ ზედამხედველობას მოსალოდნელ მომავალ ფულად ნაკადებზე, რომელიც წარმოადგენს აქტივებისა და ვალდებულებების მართვის პროცესის ნაწილს. კომპანია ახდენს ამ ტიპის რისკების კონტროლს ვადიანობის ანალიზის მიხედვით, და განსაზღვრავს კომპანიის სტრატეგიას მომავალი ფინანსური პერიოდისთვის.

ლიკვიდურობის ანალიზი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	1 წლამდე	1 - 5 წლამდე	სულ
ფინანსური ვალდებულება			
სავაჭრო და სხვა ვალდებულება	1,724,384	-	1,724,384
მიღებული სესხები	358,998	591,669	950,667
	2,083,382	591,669	2,675,051

ლიკვიდურობის ანალიზი 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	1 წლამდე	1 - 5 წლამდე	სულ
ფინანსური ვალდებულება			
სავაჭრო და სხვა ვალდებულება	2,072,685	-	2,072,685
მიღებული სესხები	144,954	764,017	908,971
	2,217,639	764,017	2,981,656

შპს „ვიჯი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს

(ქართულ ლარში)

4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

ლიკვიდურობის ანალიზი 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	1 წლამდე
ფინანსური ვალდებულება	
სავაჭრო და სხვა ვალდებულება	1,894,549
	1,894,549

კომპანიის ხელმძღვანელობას მიაჩნია რომ მას გააჩნია საკმარისი ლიკვიდობა რომ შეასრულოს მიმდინარე ვალდებულებები.

5. ამონაგები

ამონაგები მიწოდების ბაზრების მიხედვით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2018	2017
ადგილობრივი	21,548,634	19,180,122
ექსპორტი	71,543	294,367
	21,620,177	19,474,489

6. გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება

გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება მიწოდების ბაზრების მიხედვით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2018	2017
ადგილობრივი	(16,093,487)	(14,408,364)
ექსპორტი	(53,475)	(221,132)
	(16,146,962)	(14,629,496)

7. გაყიდვის და მიწოდების ხარჯები

გაყიდვის და მიწოდების ხარჯები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2018	2017
შრომის ანაზღაურება	(1,922,421)	(1,656,220)
მარკეტინგული და საპრომოციო ხარჯები	(567,346)	(353,228)
საწვავი და ტრანსპორტირება	(388,068)	(314,390)
იჯარა	(157,916)	(139,637)
ცვეთა	(156,705)	(156,260)
სადისტრიბუციო მანქანების ექსპლუატაციის ხარჯი	(61,751)	(55,399)
სხვა	(20,518)	(12,769)
	(3,274,725)	(2,687,903)

შპს „ვიჯი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს

(ქართულ ლარში)

8. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2018	2017
შრომის ანაზღაურება	(380,368)	(368,635)
საექვო ვალების რეზერვის ცვლილება	(281,540)	(604,927)
მარაგების გაუფასურება	(274,383)	(148,178)
საგადასახადო ხარჯი, გარდა მოგების გადასახადისა	(73,801)	(47,041)
კომუნალური და საკომუნიკაციო ხარჯები	(67,140)	(60,891)
იჯარა	(54,000)	(54,000)
მივლინება	(45,064)	(37,686)
პროფესიული მომსახურება	(35,507)	(41,323)
ოფისის ხარჯი	(32,477)	(31,882)
დაზღვევა	(16,444)	(28,386)
ცვეთა	(13,170)	(15,506)
საბანკო მომსახურება	(10,625)	(11,278)
სხვა	(67,950)	(18,857)
	(1,352,469)	(1,468,590)

9. ფინანსური შემოსავალი/ხარჯი, ნეტო

ფინანსური შემოსავალი/ხარჯი, ნეტო წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2018	2017
ფინანსური შემოსავალი		
მიმდინარე ანგარიშზე დარიცხული პროცენტი	121,108	38,677
მიღებულ სესხთან დაკავშირებული საკურსო სხვაობა	-	45,622
	121,108	84,299
ფინანსური ხარჯი		
საპროცენტო ხარჯი	(38,726)	(3,938)
მიღებულ სესხთან დაკავშირებული საკურსო სხვაობა	(29,281)	-
	(68,007)	(3,938)
	53,101	80,361

10. უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით მიღებული ზარალი, ნეტო

უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით მიღებული ზარალი, ნეტო წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2018	2017
ფული და ფულის ეკვივალენტები	(21,337)	(94,270)
სხვა ფინანსური ინსტრუმენტები	7,498	61,826
	(13,839)	(32,444)

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს

(ქართულ ლარში)

11. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ისტორიული ღირებულება	სატრანსპორტო საშუალებები	ავეჯი და ოფისის აღჭურვილობა	სარეკლამო საშუალებები	სხვა	სულ
2017 წლის 1 იანვარი	1,038,113	126,787	103,320	137,978	1,406,198
შემოსვლა	47,123	11,811	26,332	44,410	129,676
გასვლა	(38,378)	(15,599)	(216)	(8,156)	(62,349)
2017 წლის 31 დეკემბერი	1,046,858	122,999	129,436	174,232	1,473,525
შემოსვლა	48,550	22,988	27,618	20,727	119,883
გასვლა	(34,722)	(7,103)	-	(848)	(42,673)
2018 წლის 31 დეკემბერი	1,060,686	138,884	157,054	194,111	1,550,735
დაგროვილი ცვეთა					
2017 წლის 1 იანვარი	(364,820)	(80,440)	(81,539)	(72,316)	(599,115)
ცვეთა	(122,106)	(15,506)	(12,130)	(17,389)	(167,131)
გასული ძირითადი საშუალების ცვეთა	7,512	8,307	-	4,440	20,259
2017 წლის 31 დეკემბერი	(479,414)	(87,639)	(93,669)	(85,265)	(745,987)
ცვეთა	(119,046)	(13,170)	(17,951)	(14,842)	(165,009)
გასული ძირითადი საშუალების ცვეთა	8,728	1,276	-	515	10,519
2018 წლის 31 დეკემბერი	(589,732)	(99,533)	(111,620)	(99,592)	(900,477)
საბალანსო ღირებულება					
2017 წლის 1 იანვარი	673,293	46,347	21,781	65,662	807,083
2017 წლის 31 დეკემბერი	567,444	35,360	35,767	88,967	727,538
2018 წლის 31 დეკემბერი	470,954	39,351	45,434	94,519	650,258

12. მარაგები

მარაგები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2018	31.12.2017	01.01.2017
გასაყიდი პროდუქცია	2,406,322	2,658,262	1,790,864
სათადარიგო ნაწილები	20,546	18,225	19,460
სხვა	41,007	29,337	18,094
	2,467,875	2,705,824	1,828,418

13. საგადასახადო აქტივები

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესული ცვლილების მიხედვით, 2016 წლის 1 იანვრიდან, გადასახადების გადახდა ხდება ხაზინის ერთიანი ანგარიშიდან გადასახადებისათვის განკუთვნილ ერთიან სახაზინო კოდზე. შედეგად, 2018 წლის 31 დეკემბრის და 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაში კომპანიას საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილი აქვს ნეტო საფუძველზე - 84,854 და 101,316 ლარის ოდენობით, როგორც საგადასახადო ვალდებულება, შესაბამისად. 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილია 19,453 ლარის ოდენობით, როგორც საგადასახადო აქტივი.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბრის

(ქართულ ლარში)

14. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2018	31.12.2017	01.01.2017
ფინანსური მოთხოვნები			
სავაჭრო მოთხოვნები	5,584,225	3,533,665	2,679,527
სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	331,836	567,483	314,806
გაუფასურების რეზერვი	(1,515,864)	(1,234,323)	(629,396)
	4,400,197	2,866,825	2,364,937
არაფინანსური მოთხოვნები			
გადახდილი ავანსები	276,937	1,921,375	586,127
მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ	-	472	1,682
	276,937	1,921,847	587,809
	4,677,134	4,788,672	2,952,746

კომპანია ფინანსური აქტივების გაუფასურების მეთოდოლოგიისთვის იყენებს გამარტივებულ მეთოდს, რათა განსაზღვროს სავაჭრო და სხვა მოთხოვნების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგი. იმისათვის, რათა განისაზღვროს მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგი ჯგუფურად, მოთხოვნები დაჯგუფდა მსგავსი საკრედიტო რისკისა და ხანდაზმულობის მიხედვით. სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს აქვს მსგავსი რისკიანობის მახასიათებელი.

გაუფასურების პოლიტიკის შესახებ დამატებით ინფორმაცია მოცემულია 21-ე განმარტებით შენიშვნაში.

გაუფასურების რეზერვის ცვლილება 2018 და 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2018	2017
1 იანვარი	(1,234,323)	(629,396)
ზრდა	(281,541)	(604,927)
31 დეკემბერი	(1,515,864)	(1,234,323)

კომპანია საკრედიტო რისკის მართვის პოლიტიკის ფარგლებში ახორციელებს ფინანსური აქტივების საკრედიტო ხარისხის ანალიზს. სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საკრედიტო ხარისხის ანალიზი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	თანხა გაუფასურებამდე	გაუფასურების კოეფიციენტი	გაუფასურების რეზერვი
ინდივიდუალურად შეფასებული მოთხოვნები	331,836	0%	-
მოთხოვნები ჯგუფური გაუფასურების რეზერვით			
მიმდინარე	2,484,002	1%	(24,838)
ვადაგადაცილება 0-30	830,353	5%	(41,518)
ვადაგადაცილება 31-90	525,430	10%	(52,543)
ვადაგადაცილება 91-180	305,149	30%	(91,545)
ვადაგადაცილება 181-360	267,743	50%	(133,872)
ვადაგადაცილება 361 მეტი	1,171,548	100%	(1,171,548)
მოთხოვნები გაუფასურებამდე	5,916,061		(1,515,864)
გაუფასურების რეზერვი	(1,515,864)		
წმინდა მოთხოვნები	4,400,197		

შპს „ვიჯი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს

(ქართულ ლარში)

14. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები (გაგრძელება)

სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საკრედიტო ხარისხის ანალიზი 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	თანხა გაუფასურებამდე	გაუფასურების კოეფიციენტი	გაუფასურების რეზერვი
ინდივიდუალურად შეფასებული მოთხოვნები	567,483	0%	-
მოთხოვნები ჯგუფური გაუფასურების რეზერვით			
მიმდინარე	1,566,571	1%	(15,670)
ვადაგადაცილება 0-30	356,040	5%	(17,810)
ვადაგადაცილება 31-90	276,426	10%	(27,643)
ვადაგადაცილება 91-180	163,140	30%	(48,954)
ვადაგადაცილება 181-360	94,485	50%	(47,243)
ვადაგადაცილება 361 მეტი	1,077,003	100%	(1,077,003)
მოთხოვნები გაუფასურებამდე	4,101,148		(1,234,323)
გაუფასურების რეზერვი	(1,234,323)		
წმინდა მოთხოვნები	2,866,825		

სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საკრედიტო ხარისხის ანალიზი 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	თანხა გაუფასურებამდე	გაუფასურების კოეფიციენტი	გაუფასურების რეზერვი
ინდივიდუალურად შეფასებული მოთხოვნები	314,806	0%	-
მოთხოვნები ჯგუფური გაუფასურების რეზერვით			
მიმდინარე	232,354	1%	(2,324)
ვადაგადაცილება 0-30	1,749,683	5%	(87,434)
ვადაგადაცილება 31-90	84,908	10%	(8,491)
ვადაგადაცილება 91-180	53,429	30%	(15,982)
ვადაგადაცილება 181-360	87,976	50%	(43,988)
ვადაგადაცილება 361 მეტი	471,177	100%	(471,177)
მოთხოვნები გაუფასურებამდე	2,994,333		(629,396)
გაუფასურების რეზერვი	(629,396)		
წმინდა მოთხოვნები	2,364,937		

სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულება შეესაბამება მათ რეალურ ღირებულებას, დაფარვის მოკლე ვადიდან გამომდინარე.

დამატებითი ინფორმაცია სავაჭრო და სხვა მოთხოვნების შესახებ მოცემულია მე-4 განმარტებით შენიშვნაში.

15. ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2018	31.12.2017	01.01.2017
ფული ბანკში ეროვნულ ვალუტაში	1,954,512	1,747,608	1,725,027
ფული ბანკში უცხოურ ვალუტაში	71	71,973	8
ფული სალაროში ეროვნულ ვალუტაში	5,863	5,701	34
	1,960,446	1,825,282	1,725,069

ფულის და ფულის ეკვივალენტების საბალანსო ღირებულება შეესაბამება მათ რეალურ ღირებულებას.

დამატებითი ინფორმაცია ფულის და ფულის ეკვივალენტების შესახებ მოცემულია მე-4 განმარტებით შენიშვნაში.

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს

(ქართულ ლარში)

16. მიღებული სესხები

მიღებული სესხები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2018	31.12.2017
ძირი თანხა	920,375	907,270
პროცენტი	30,292	1,701
	950,667	908,971

მიღებული სესხების რეკონსილაცია 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	გრძელვადიანი	მიმდინარე	სულ
2018 წლის 1 იანვარი	764,017	144,954	908,971
მონეტარული ცვლილებები	-	(26,311)	(26,311)
არამონეტარული ცვლილებები			
კურსთაშორის სხვაობის ეფექტი	8,440	20,841	29,281
გრძელვადიანი სესხის მიმდინარე ნაწილი	(180,788)	180,788	-
დარიცხული პროცენტი	-	38,726	38,726
2018 წლის 31 დეკემბერი	591,669	358,998	950,667

მიღებული სესხების რეკონსილაცია 2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	გრძელვადიანი	მიმდინარე	სულ
2017 წლის 1 იანვარი	-	-	-
მონეტარული ცვლილებები	952,875	(2,220)	950,655
არამონეტარული ცვლილებები			
კურსთაშორის სხვაობის ეფექტი	(45,605)	(17)	(45,622)
გრძელვადიანი სესხის მიმდინარე ნაწილი	(143,253)	143,253	-
დარიცხული პროცენტი	-	3,938	3,938
2017 წლის 31 დეკემბერი	764,017	144,954	908,971

2017 წლის 16 ნოემბერს კომპანიამ აიღო სესხი “ტრუვეგა ინვესტ ლიმიტედისგან”. სესხის ოდენობა ხელშეკრულების მიხედვით შეადგენს 700,000 აშშ დოლარს, თუმცა კომპანიას ათვისებული აქვს მხოლოდ მისი ნახევარი. წლიური საპროცენტო განაკვეთია 4.5%. გადახდის გრაფიკის დარღვევის შემთხვევაში საპროცენტო განაკვეთი იზრდება 6.5%-მდე და ერიცხება რთული პროცენტით. სესხი არ არის უზრუნველყოფილი.

17. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები წარმოდგენილია შემდეგნაირად

	12.31.2018	12.31.2017	01.01.2017
ფინანსური ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები	1,151,437	1,790,549	1,515,939
გადასახდელი ხელფასები	127,999	138,408	128,033
სხვა ვალდებულებები	444,948	143,728	250,577
	1,724,384	2,072,685	1,894,549
არაფინანსური ვალდებულებები			
მიღებული ავანსები	20,836	991,165	37,239
	20,836	991,165	37,239
	1,745,220	3,063,850	1,931,788

სავაჭრო და სხვა ვალდებულებების საბალანსო ღირებულება შეესაბამება მათ რეალურ ღირებულებას, დაფარვის მოკლე ვადიდან გამომდინარე.

დამატებითი ინფორმაცია სავაჭრო და სხვა ვალდებულებების შესახებ მოცემულია მე-4 განმარტებით შენიშვნაში.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს

(ქართულ ლარში)

18. პირობითი ვალდებულებები

სასამართლო დავები - 2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის და 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით კომპანიას არ გააჩნია არსებითი სასამართლო დავები. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ არ მოხდება მატერიალური დანაკარგის წარმოქმნა, შესაბამისად ანარიცხი არ არის შექმნილი სასამართლო დავებთან დაკავშირებით.

გადასახადები - საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესაძლოა განხორციელდეს სხვადასხვა ინტერპრეტაციები და ცვლილებები. გარდა ამისა, მენეჯმენტის საგადასახადო ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავდებოდეს საგადასახადო ორგანოების ინტერპრეტაციებისაგან, კომპანიის ოპერაციები შეიძლება გასაჩივრდეს საგადასახადო ორგანოების მიერ და კომპანიას დაეკისროს დამატებითი გადასახადები, საურავები, პროცენტები. კომპანიას მიაჩნია რომ ყველა გადასახადი გადახდილი აქვს და შესაბამისად, არანაირი ანარიცხი არ წარადგინა ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში. საგადასახადო ორგანოებს შეუძლიათ მიმოიხილონ კომპანიის ოპერაციები 3 წლის განმავლობაში.

19. დაკავშირებული მხარეები

დაკავშირებული მხარეები მოიცავს მფლობელებს, საერთო მფლობელობაში არსებულ კომპანიებს, ერთობლივ და მეკავშირე საწარმოებს. როდესაც ხდება დაკავშირებულ მხარესთან ურთიერთობის ანალიზი, გაითვალისწინება არა მხოლოდ ურთიერთობის იურიდიული ფორმა, არამედ მისი არსი.

კომპანიას და მის დაკავშირებულ მხარეებს შორის ნაშთები 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	სხვა დაკავშირებული მხარე	ფინანსურ ანგარიშგებაში შესაბამისი მუხლი
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება		
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	578,795	1,745,220

კომპანიას და მის დაკავშირებულ მხარეებს შორის ნაშთები 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	სხვა დაკავშირებული მხარე	ფინანსურ ანგარიშგებაში შესაბამისი მუხლი
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება		
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1,918,034	3,063,850

კომპანიას და მის დაკავშირებულ მხარეებს შორის ნაშთები 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	სხვა დაკავშირებული მხარე	ფინანსურ ანგარიშგებაში შესაბამისი მუხლი
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება		
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1,006,534	1,931,788

კომპანიასა და მის დაკავშირებულ მხარეებს შორის განხორციელებული ოპერაციები საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	სხვა დაკავშირებული მხარე	ხელმძღვანელობის ანაზღაურება	ფინანსურ ანგარიშგებაში შესაბამისი მუხლი
სრული შემოსავლის ანგარიშგება			
ამონაგები	30,537	-	21,620,177
შრომის ანაზღაურება	-	(272,483)	(380,368)

შპს „ვიჯი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს

(ქართულ ლარში)

19. დაკავშირებული მხარეები (გაგრძელება)

კომპანიასა და მის დაკავშირებულ მხარეებს შორის განხორციელებული ოპერაციები საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2017 წლის 31 დეკემბერს წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	სხვა დაკავშირებული მხარე	ხელმძღვანელობის ანაზღაურება	ფინანსურ ანგარიშგებაში შესაბამისი მუხლი
სრული შემოსავლის ანგარიშგება			
ამონაგები	294,367	-	19,474,489
შრომის ანაზღაურება	-	(212,904)	(368,635)

20. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ადგილი არ ჰქონია ისეთ მოვლენებს, რომლებიც მოითხოვს განმარტებით შენიშვნებს.

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს

(ქართულ ლარში)

21. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

21.1 შეფასების და წარსადგენის ვალუტა

ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული მუხლები წარმოდგენილია იმ ქვეყნის ვალუტაში, სადაც კომპანია ფუნქციონირებს (საოპერაციო ვალუტა). ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგების შეფასების ვალუტად კომპანია იყენებს ქართულ ლარს, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს მის ოპერაციებზე.

ოპერაციები შეფასების ვალუტისგან განსხვავებულ ვალუტაში განიხილება, როგორც ოპერაცია უცხოურ ვალუტაში და აღირიცხება ბასს 21-ს „სავალუტო კურსების ცვლილებათა გავლენა“ და ფაისკ ინტერპრეტაცია 22-ის - „უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები და წინასწარი გადახდა“ მოთხოვნების შესაბამისად.

უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად. კურსთაშორის სხვაობიდან წარმოქმნილი მოგება და ზარალი ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია მუხლში - „კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული მოგება/(ზარალი)“.

უცხოური ვალუტით მიღებული არამონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის და 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი იყო შემდეგი:

	31.12.2018	31.12.2017	01.01.2017
ლარი/1 აშშ დოლარი	2.6766	2.5922	2.6468
ლარი/1 ევრო	3.0701	3.1044	2.7940

21.2 ამონაგები

კომპანია აღიარებს შემოსავალს დაპირებული საქონლისა და მომსახურების მომხმარებლებისთვის გადაცემისას, იმ ანაზღაურების ოდენობით, რომლის მიღების უფლებასაც კომპანია მოელის ამ საქონლისა და მომსახურების გადაცემის სანაცვლოდ. კომპანია იყენებს ხუთ ეტაპიან მოდელს მომხმარებელთან გაფორმებული ყველა ხელშეკრულების მიმართ:

- მომხმარებელთან ხელშეკრულების იდენტიფიცირება;
- სახელშეკრულებო ვალდებულებების დადგენა;
- გარიგების ფასის განსაზღვრა;
- გარიგების ფასის მიკუთვნება სახელშეკრულებო ვალდებულებასთან;
- შემოსავლის აღიარება, როდესაც (ან თუ) პირი სახელშეკრულებო ვალდებულებას შეასრულებს.

კომპანია შემოსავალს აღიარებს სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულებისას, ანუ მაშინ, როდესაც შესაბამის ვალდებულებასთან დაკავშირებულ საქონელზე/მომსახურებაზე “კონტროლი” მომხმარებელს გადაეცემა.

კომპანიის შემოსავლის ძირითად ნაწილს წარმოადგენს კვების პროდუქტების საბითუმად რეალიზაცია საქართველოს მასშტაბით. შემოსავალი სადისტრიბუციო საქმიანობიდან აღიარდება დროის გარკვეულ მომენტში. დროის იმ მომენტის დასადგენად, როდესაც მომხმარებელი მოიპოვებს კონტროლს დაპირებულ აქტივზე და კომპანია დაფარავს შესასრულებელ ვალდებულებას, კომპანია ითვალისწინებს შემდეგ ქვემოთ ჩამოთვლილ ნიშნებს:

- გააჩნია თუ არა კომპანიას მიმდინარე უფლება აქტივისთვის გადახდილი ანაზღაურების მიღებაზე;
- გააჩნია თუ არა მომხმარებელს აქტივის საკუთრების იურიდიული უფლება;
- გადასცა თუ არა კომპანიამ აქტივი ფიზიკურად;
- გააჩნია თუ არა მომხმარებელს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკები და სარგებელი;
- მიიღო თუ არა მომხმარებელმა აქტივი;

21. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

კომპანიის შემოსავლის ძირითადი საკონტრაქტო ღირებულება არის ფიქსირებული და შესაბამისად, თითოეული კონტრაქტიდან მისაღები შემოსავლის განსაზღვრა ხდება მოცემული ფიქსირებული ფასების მიხედვით.

თითოეულ სარეალიზაციო პროდუქტზე დადგენილი ფასების შესახებ ინფორმაცია აისახება მომხმარებელთან გაფორმებულ გენერალურ ხელშეკრულებაში და ფასები შესაძლოა განსხვავებული იყოს მომხმარებლების მიხედვით. ფასების ცვლილების შემთხვევაში ინფორმაციის ასახვა ხდება სასაქონლო-ზედნადების დოკუმენტში, რომელიც წარმოადგენს შემოსავლის დამადასტურებელ პირველად დოკუმენტს.

ზოგიერთი ხელშეკრულების მიხედვით კომპანია პროდუქციაზე კონტროლს მომხმარებელს გადასცემს, მაგრამ სხვადასხვა მიზეზების გამო, მას ასევე პროდუქტის დაბრუნებისა და შემდეგი უფლებების რაიმე კომბინაციით სარგებლობის უფლებას აძლევს:

- გადახდილი ანაზღაურების სრული ან ნაწილობრივ ანაზღაურება;
- სხვა პროდუქტის მიღება დაბრუნების სანაცვლოდ;

დაბრუნების უფლებით გაყიდული პროდუქციის აღრიცხვისათვის კომპანია აღიარებს ამონაგებს გადაცემული პროდუქციისთვის, ანაზღაურების იმ ოდენობით, რომლის მიღების უფლების მოპოვებასაც კომპანია მოელის;

გამოყენებული გათავისუფლება

კომპანიამ გამოიყენა ქვემოთ მოცემული გათავისუფლება:

არ განიხილავს დაფინანსების მნიშვნელოვან კომპონენტს, როდესაც აქტივზე მომხმარებლისთვის კონტროლის გადაცემის თარიღსა და მიღებული ანაზღაურების თარიღებს შორის სხვაობა არის ერთ წელზე ნაკლები; და

ხელშეკრულების გაფორმების დამატებითი დანახარჯები ხარჯებში აღიარდება მათი გაწევისას, თუ აქტივის ამორტიზაციის პერიოდის ხანგრძლივობა ერთ წელს არ აღემატება.

21.3 ფინანსური ინსტრუმენტები

კომპანია ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღიარებს მაშინ, როდესაც ხდება ინსტრუმენტთან დაკავშირებული სახელშეკრულებო ვალდებულების მხარე.

ფინანსური აქტივები

კომპანია ფინანსურ აქტივებს ჰყოფს შემდეგ კატეგორიებად - „ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი“, „რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი, ცვლილებების მოგებაში ან ზარალში ასახვით“, „რეალური ღირებულებით შეფასებული, ცვლილებების სხვა სრულ შემოსავალში ასახვით“. კომპანიის ხელმძღვანელობამ შეაფასა, თუ რომელი ბიზნეს მოდელი შეესაბამება კომპანიის ფინანსურ აქტივებს და ისინი დააკლასიფიცირა შემდეგ კატეგორიად - „ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი“.

2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის და 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაში კომპანიის ფინანსური აქტივები წარმოდგენილია სავაჭრო და სხვა მოთხოვნებით და ფული და ფულის ეკვივალენტებით. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულსა და ფულს მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე.

„ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი“

მოცემული აქტივები წარმოიქმნება მომხმარებლებისთვის საქონლისა და მომსახურების მიწოდებიდან, ასევე მოიცავს სხვა სახის ფინანსურ აქტივებს, რომლის ფლობის მიზანია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება და ეს ფულადი ნაკადები წარმოადგენს მხოლოდ ძირს და მასზე დარიცხულ პროცენტს. ისინი საწყისი აღიარებისას შეფასებულია რეალური ღირებულებით დამატებული გარიგების ის დანახარჯები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ფინანსური აქტივის შეძენასთან ან გამოშვებასთან და შემდგომში აღრიცხულია ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, შემცირებული გაუფასურების რეზერვის მოცულობით.

21. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

გაუფასურება

ფასს 9-ის მიხედვით, კომპანიას ევალება მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების აღრიცხვა თავის ყველა სავალო ფასიან ქაღალდზე, სესხსა და სავაჭრო დებიტორულ ანგარიშზე, 12 თვიანი პერიოდისთვის ან მათი მთლიანი ვადისთვის. გაუფასურებასთან დაკავშირებული მოთხოვნების მიზანია, ფინანსური ინსტრუმენტების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის აღიარება ყველა ფინანსურ ინსტრუმენტთან მიმართებით, რომლის საკრედიტო რისკი თავდაპირველი აღიარების შემდეგ მნიშვნელოვნად გაიზარდა, მიუხედავად იმისა, გაუფასურება ინდივიდუალურად შეფასდა თუ ჯგუფურად, რისთვისაც კომპანია ითვალისწინებს ყველა გონივრულ და შესაფერის ინფორმაციას, მათ შორის, საპროგნოზო ინფორმაციასაც.

კომპანია იყენებს გამარტივებულ მიდგომას და მოსალოდნელ ზარალს აღრიცხავს სავაჭრო და სხვა მოთხოვნების მუხლზე და სახელშეკრულებო აქტივზე. აღნიშნული მიდგომის მიხედვით არსებობის მანძილზე სავაჭრო მოთხოვნების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი გამოითვლება რეზერვების მატრიცის გამოყენებით. გამარტივებული მიდგომა განიხილავს ზარალს სრულად მთელი პორტფოლიოსთვის, განურჩევლად იმისა ადგილი ჰქონდა თუ არა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას პირველადი აღიარების შემდგომ.

კომპანია საკრედიტო ზარალის წარსულ მონაცემებს იყენებს ფინანსური აქტივების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებლად. კომპანია აფასებს ფინანსური აქტივებიდან ფულადი ნაკადების გადაუხდელობის ალბათობას. შემდეგ მოცემული ალბათობა მრავლდება მოსალოდნელ დანაკარგებზე, რომელიც გამოწვეულია ხელშეკრულების შეუსრულებლობის რისკიდან, რათა განისაზღვროს სავაჭრო მოთხოვნების და საკონსტრაქტო აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგი.

კომპანია სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურებას ახორციელებს ჯგუფურად, რადგან კომპანიის გამოცდილებით ერთობლიობა არ მოიცავს ინდივიდუალურად მნიშვნელოვან ელემენტებს. იმისათვის, რათა განისაზღვროს მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგი ჯგუფურად შეფასებულ დებიტორულ მოთხოვნებზე, მოთხოვნები ჯგუფდება მსგავსი საკრედიტო რისკისა და ხანდაზმულობის მიხედვით. სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს აქვს მსგავსი რისკიანობის მახასიათებელი.

მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგის განაკვეთები ეფუძნება კომპანიის ბოლო 2 წლის საკრედიტო გაუფასურების გამოცდილებას. ისტორიული მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგის განაკვეთი კორექტირდება არსებული და სამომავლო მაკროეკონომიკური ფაქტორების გათვალისწინებით, რომელიც გავლენას ახდენს კომპანიის მომხმარებლებზე. ჯგუფი ითვალისწინებს მთლიანი შიდა პროდუქტის და ინფლაციის დონეს, როგორც ძირითად მაკროეკონომიკურ ფაქტორებს, იმ ქვეყნისთვის სადაც კომპანია საქმიანობს.

ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივების კატეგორიისთვის, რომლებიც წმინდა ღირებულებით არის წარმოდგენილი ფინანსურ ანგარიშგებაში ასეთი რეზერვები აისახება ცალკე მუხლად, ხოლო შესაბამისი ზარალი აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. იმ შემთხვევაში, თუ ზემოაღნიშნული ფინანსური აქტივების ამოღება შეუძლებელია, აქტივის მთლიანი ღირებულება მცირდება შესაბამისი რეზერვით.

ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების გაუფასურება

კომპანიამ არაარსებითად შეაფასა საკრედიტო დანაკარგების რისკი ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე მათი სწრაფი ლიკვიდურობიდან გამომდინარე. შესაბამისად, ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების მუხლზე კომპანია არ ახორციელებს გაუფასურების აღიარებას ფასს 9-ის შესაბამისად.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც: (ა) ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების საკონტრაქტო უფლებებს ვადა გასდის; ან (ბ) იგი გადასცემს ფინანსურ აქტივთან დაკავშირებული ფულადი ნაკადების მიღების უფლებას, ან შედის ისეთ გარიგებაში, როდესაც: (ი) აქტივის გასვლასთან ერთად ხდება ყველა არსებითი რისკისა და სარგებლის კომპანიიდან გასვლა; ან (იი) კომპანია არ გადასცემს აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ არსებით რისკსა და სარგებელს, მაგრამ ასევე არ ინარჩუნებს კონტროლს ამ აქტივზე. კონტროლის შენარჩუნება ხდება, თუ კონტრაგენტს არ აქვს უფლება, გაყიდოს აქტივი მესამე მხარეზე, გაყიდვასთან დაკავშირებული დამატებითი შეზღუდვების გათვალისწინების გარეშე.

21. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ფინანსური ვალდებულებები

კომპანია მის ფინანსურ ვალდებულებებს აკლასიფიცირებს შემდეგი კატეგორიებიდან ერთ-ერთით: რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით და სხვა ფინანსურ ვალდებულებებად. კომპანიას ყველა ფინანსური ვალდებულება დაკლასიფიცირებული აქვს „სხვა ფინანსური ვალდებულებების“ კატეგორიაში. 2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის და 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით სხვა ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სესხებს და სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს.

სხვა ფინანსური ვალდებულებები საწყისი აღიარებისას შეფასებულია რეალური ღირებულებით დამატებული გარიგების ის დანახარჯები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ფინანსური ვალდებულებების გამოშვებასთან. მსგავსი პროცენტის მატარებელი ვალდებულებები შემდგომში აღრიცხულია ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, რომელიც უზრუნველყოფს მუდმივი განაკვეთით ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე საპროცენტო ხარჯის დარიცხვას. ნებისმიერი ფინანსური ვალდებულებისთვის საპროცენტო ხარჯი მოიცავს საწყის გარიგების ხარჯებს და ნებისმიერ დამატებით გადასახდელს ვალდებულების გამოსყიდვისთვის.

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ერთმანეთში გადაიხურება და ფინანსურ ანგარიშგებებში წარდგება ნეტო თანხით, მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს შესაბამისი იურიდიული უფლება და სურვილი აღნიშნული თანხების ურთიერთჩათვლისთვის.

21.4 ფინანსური ხარჯი

ფინანსური ხარჯი აისახება ფინანსურ ინსტრუმენტთან მიმართებაში დარიცხვის პრინციპის საფუძველზე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მიხედვით დისკონტირდება მომავალში მისაღები ან გადასახადელი სავარაუდო ფულადი სახსრები (ყველა მიღებული, ან გადახდილი საკომისიოს, გარიგებების ხარჯებისა და სხვა ფასნამატებისა და დისკონტირების ჩათვლით) ფინანსური ინსტრუმენტების მოსალოდნელი მომსახურების ვადის განმავლობაში, ან ფინანსური აქტივისა თუ ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულების მოკლე პერიოდის განმავლობაში. ფინანსური ხარჯი აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

21.5 ხარჯები

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარ არის მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

თუ ეკონომიკური სარგებელი მოსალოდნელია რომ წარმოიქმნება რამდენიმე სააღრიცხვო პერიოდის განმავლობაში, მასთან დაკავშირებული ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება გონივრული განაწილების საფუძველზე.

21.6 ხელფასები და ბონუსები

ხელფასები, ბონუსები და არამონეტარული სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი მომსახურება მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან.

21.7 საოპერაციო იჯარა

კომპანია როგორც მოიჯარე - საოპერაციო იჯარის გადასახადების აღიარება ხდება ხარჯის სახით იჯარის ვადაზე დარიცხვის წრფივი მეთოდით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სხვა სქემა უფრო ზუსტად ასახავს საიჯარო აქტივიდან ეკონომიკური სარგებლის მოხმარების სისტემატურობას. საოპერაციო იჯარიდან წარმომდგარი პირობითი საიჯარო გადასახადის აღიარება ხდება ხარჯის სახით იმ პერიოდში, რომელშიც ისინი გაიწია.

21. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

21.8 დაბეგვრა

მიმდინარე მოგების გადასახადი

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოში ძალაში შევიდა მოგების გადასახადის ახალი მოდელი. მოგების გადასახადის ახალი მოდელის თანახმად მოგების გადასახადით დაბეგვრის საგანს წარმოადგენს:

- დივიდენდების გაცემა
- სხვაობა ხელშეკრულების თანხასა და რეალურ ღირებულებას შორის
- ხარჯები, რომლებიც არ მიეკუთვნება ეკონომიკურ საქმიანობას
- უსასყიდლოდ გადაცემები და საჩუქრები
- ლიმიტს ზემოთ გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯები

მოგების გადასახადის ხარჯი აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც კომპანია გამოაცხადებს დივიდენდს. დივიდენდის გამოცხადების გარდა, სხვა მავალდებული მოვლენა, რომელიც წარმოქმნის მოგების გადასახადს აღიარდება სხვა ხარჯების მუხლში. კომპანიის მიმდინარე საგადასახადო დავალიანება იანგარიშება საგადასახადო განაკვეთების გამოყენებით, რომლებიც ძალაშია ანგარიშგების პერიოდის ბოლოსთვის.

გადავადებული გადასახადი

საქართველოს საგადასახადო სისტემაში შესული ცვლილებების სპეციფიკურობის გათვალისწინებით, 2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოში რეგისტრირებული კონპანიებისთვის აქტივების და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს დროებითი სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების წარმოქმნა.

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას.

წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლისგანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

21.9 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ღირებულებას, სხვა პირდაპირ დანახარჯებს და აქტივის დემონტაჟთან, ლიკვიდაციასა და ადგილმდებარეობის აღდგენასთან დაკავშირებული ნებისმიერი აუცილებელი მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე შეფასებას.

მომავალი პერიოდის დანახარჯები ემატება აქტივის საბალანსო ღირებულებას, ან აღიარდება ცალკე აქტივად, იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია, რომ აქტივთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში და აქტივის დანახარჯების განსაზღვრა საიმედოდაა შესაძლებელი. ყველა სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია აქტივის შეკეთებასა და შენარჩუნებასთან, აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, რომელშიც წარმოიშვა.

ძირითად საშუალებები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია ნეტო საბალანსო ღირებულებით, რომელიც გაიანგარიშება მისი თვითღირებულებიდან დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

ძირითადი საშუალების ცვეთა იწყება მაშინ როდესაც აქტივი ვარგისია გამოსაყენებლად. ცვეთის გამოთვლა ხდება წრფივი მეთოდით, რაც გულისხმობს აქტივის ღირებულების განაწილებას დარჩენილი მომსახურების ვადის განმავლობაში. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა განისაზღვრება ამ აქტივის მოსალოდნელი სარგებლიანობით საწარმოსათვის და ეყრდნობა მსგავსი აქტივების მქონე საწარმოს გამოცდილებას ასევე, გაითვალისწინება აქტივის ტექნიკური მოძველება და ფიზიკური ცვეთა.

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს

(ქართულ ლარში)

21. მნიშვნელოვანი საადრიცხო პოლიტიკა (გაგრძელება)

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი)
სატრანსპორტო საშუალებები	5-10
ავეჯი და ოფისის აღჭურვილობა	5-8
სარეკლამო საშუალებები	5
სხვა	3-10

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხდება აქტივის ნარჩენი ღირებულებისა და მომსახურების ვადის გადახედვა, და საჭიროების შემთხვევაში, მათი ცვლილება. ძირითადი საშუალებების ცვეთის ხარჯი აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულების აღიარება წყდება გაყიდვის შემთხვევაში ან როდესაც მისი გაყიდვიდან ან გამოყენებიდან ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული შემოსულობა ან ზარალი აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც აღიარების შეწყვეტა მოხდა.

21.10 მატერიალური და არამატერიალური აქტივების გაუფასურება, გარდა გუდვილისა

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს კომპანია მიმოიხილავს მატერიალური და არამატერიალური აქტივების საბალანსო ღირებულებას რათა განსაზღვროს, არსებობს თუ არა მინიშნება აქტივის გაუფასურების შესახებ. ასეთის არსებობის შემთხვევაში, კომპანია ახორციელებს აქტივების ანაზღაურებადი ღირებულების შეფასებას. თუ შეუძლებელია ცალკეული აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების შეფასება, კომპანია განსაზღვრავს იმ ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ანაზღაურებად ღირებულებას, რომელსაც განეკუთვნება მოცემული აქტივი.

აქტივის ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეული წარმოადგენს აქტივების უმცირეს ჯგუფს, რომელიც მოიცავს მოცემულ აქტივს და წარმოქმნის ფულად სახსრებს უწყვეტი გამოყენების შედეგად, რომელთა მიღება, უმეტესწილად, დამოკიდებული არ არის სხვა აქტივებიდან ან აქტივთა ჯგუფიდან ფულადი სახსრების მიღებაზე.

აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) ანაზღაურებადი ღირებულება წარმოადგენს გასვლის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებასა და გამოყენების ღირებულებას შორის უდიდეს თანხას. აქტივის გამოყენების ღირებულება არის აქტივიდან ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულიდან მომავალში მისაღები ფულადი ნაკადების დისკონტირებული ღირებულება.

აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება უნდა შემცირდეს მის ანაზღაურებად ღირებულებამდე იმ შემთხვევაში, თუ მოცემული აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია მის საბალანსო ღირებულებაზე. შემცირების თანხა წარმოადგენს გაუფასურების ზარალს და დაუყოვნებლივ აღიარდება ხარჯის სახით მოგება-ზარალის ან სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს კომპანია განსაზღვრავს არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი, რომლის მიხედვით წინა წლებში აღიარებული აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) გაუფასურების ზარალი შესაძლოა აღარ არსებობდეს ან შემცირებული იყოს. მისი არსებობის შემთხვევაში, კომპანია აფასებს მოცემული აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) ანაზღაურებად ღირებულებას. გაუფასურების ზარალის კომპენსირების შემთხვევაში იზრდება აქტივის (ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება, მაგარამ არაუმეტეს იმ საბალანსო ღირებულებისა, რომელიც მიღებული იქნებოდა წინა წლებში გაუფასურების ზარალის აღიარება რომ არ მომხდარიყო.

21. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

21.11 მარაგები

კომპანიაში მარაგების შეფასება ხდება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. მარაგების თვითღირებულება მოიცავს მათ შეძენასა და გადამუშავებასთან დაკავშირებულ დანახარჯებს, აგრეთვე იმ დანახარჯებს რომელიც გაწეულია მის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისა და სათანადო მდგომარეობაში მოყვანისათვის.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შეძენის დანახარჯები მოიცავს მათი შეძენის ღირებულებას, საიმპორტო საბაჟო გადასახადს და სხვა გადასახადებს (გარდა იმ გადასახადებისა, რომლებიც საგადასახადო ორგანომ კომპანიას უნდა დაუბრუნოს), სატრანსპორტო, დატვირთვა-გადმოტვირთვის დანახარჯებს და სხვა დანახარჯებს, რომლებიც უშუალოდ არის დაკავშირებული მარაგების შეძენასთან. სავაჭრო ფასდაკლება და სხვა სახის ფასდათმობები არ ჩაირთვება შეძენის დანახარჯების გაანგარიშებებში.

მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის შეფასებითი გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო შეფასებითი დანახარჯების გამოკლებით.

მარაგის ჩამოწერა ხორციელდება საშუალო შეწონილი მეთოდის მიხედვით.

21.12 საწესდებო კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება წესდებით. კომპანიის წესდების ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ დამფუძნებლების გადაწყვეტილების საფუძველზე. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლების მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლების შენატანების რეალური ღირებულებით.

21.13 საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

21.14 ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება.

ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები. მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში მოსალოდნელია - აისახება განმარტებით შენიშვნებში. იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას აქვს რწმუნება, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში, მაშინ მასთან დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმ პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ჰქონდა შეფასების ცვლილებას.

ანარიცხი წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია რაოდენობრივ და დროით განუსაზღვრელობებთან. კომპანიაში ანარიცხი აღიარდება, როდესაც კომპანიას აქვს მიმდინარე მოვალეობა (იურიდიული ან კონსტრუქციული), რომელიც წარმოიქმნება წარსული მოვლენის შედეგად და სავარაუდოა, რომ მოვალეობის დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების გასვლა; და შესაძლებელია მოვალეობის თანხის საიმედოდ შეფასება.

შპს „ვიჯი“

მმართველობის ანგარიშგება

31 დეკემბერი 2018

სარჩევი

საქმიანობის განვითარების, შედეგებისა და მდგომარეობის აღწერა	33
1. კომპანიის შესახებ	33
2. მმართველობა	34
3. საქმიანობის შედეგები.....	35
4. კომპანიის განვითარების გეგმები	35
5. ინფორმაცია კომპანიის ფილიალების საქმიანობის შესახებ	36
6. კომპანიის მიერ წარმოებული კვლევებისა და მისი განვითარების მიმოხილვა	36
7. ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები.....	36
8. ინფორმაცია საკუთარი აქციების შეძენის შესახებ	37
9. დამატებითი განმარტებები ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ.....	37
ძირითადი რისკები და გაურკვევლობები	37

საქმიანობის განვითარების, შედეგებისა და მდგომარეობის აღწერა

1. კომპანიის შესახებ

შპს „ვიჯი“ (ს.ნ. 406024127) (შემდგომში „კომპანია“) არის საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად საქართველოში დაფუძნებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც დაარსდა 2010 წლის იანვარში.

2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის მფლობელთა სტრუქტურა შემდეგია:

- აიდინ თალიბოვი (C00551204) – 69.49%
- ილგარ თალიბოვი (C00971364) – 22.71%
- ბახტიარ ალლაჰვერდი (C00571837) – 7.80%

ზემოაღნიშნული წილების ფორმირება მოხდა 2014 წლის 18 ივნისს პარტნიორთა კრების გადაწყვეტილებით, თუმცა აღნიშნული ცვლილება არ არის რეგისტრირებული საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში.

კომპანიის დირექტორი არის დავით ქაღდანა (პ.ნ. 01011030205).

სავაჭრო სახელი - „ვიჯი“

შპს „ვიჯი“ საქართველოს მასშტაბით წარმოადგენს ერთ-ერთ ლიდერ სადისტრიბუციო კომპანიას, რომლის ძირითად საქმიანობას 2010 წლიდან წარმოადგენს შოკოლადის ნაწარმისა და საკვები პროდუქტების იმპორტი და დისტრიბუცია საქართველოში.

კომპანიის მისიაა შესთავაზოს მომხმარებელს მსოფლიო ბრენდების ფართო ასორტიმენტი და უზრუნველყოს პროდუქციის დროული მიწოდება სავაჭრო წერტილებში.

კომპანიის სტრატეგიაა უზრუნველყოს მომხმარებელი მუდმივად ახალი პროდუქტით და სარფიანი შეთავაზებებით.

შპს „ვიჯი“ წარმოადგენს მსოფლიოში ცნობილი ბრენდების ოფიციალურ პარტნიორს საქართველოში, როგორებიცაა:



2. მმართველობა

კომპანიაში მართვის უმაღლეს ორგანოს წარმოადგენს დირექტორთა საბჭო, რომელიც შედგება სამი წევრისგან.

დირექტორთა საბჭოს მიზანია - კომპანიის საქმიანობის შესაბამისობის უზრუნველყოფა მის მიზნებთან და სტრატეგიასთან. დირექტორთა საბჭო იღებს გადაწყვეტილებებს შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით:

- სამურნეო საქმიანობის დაწყება და შეწყვეტა
- სამეურნეო პოლიტიკის ძირითადი პრინციპების განსაზღვრა
- უძრავი ქონების შეძენა, გასხვისება და დატვირთვა
- ინვესტიციების განხორციელება
- სესხების და კრედიტების აღება
- ფილიალების შექმნა და ლიკვიდაცია
- წლიური შედეგების დამტკიცება და შედეგების გამოყენება
- დირექტორების დანიშვნა და გამოწვევა, მათთან ხელშეკრულების დადება და შეწყვეტა

კომპანიას ხელმძღვანელობს დირექტორი, რომლის მთავარ ამოცანებს წარმოადგენს:

- ტოპ მენეჯმენტის წევრებს შორის შეთანხმებული და მკაფიო სტრატეგიის არსებობა
- კომპანიის ოპერატიული მართვა
- ბიზნეს პროცესების გამართული, უწყვეტი მიმდინარეობა
- სტრატეგიული მიზნების და ამოცანების შესაბამისი წლის სამოქმედო გეგმების არსებობა განყოფილებების დონეზე და მათი შესრულება

ზემოაღნიშნული სტრატეგიული ამოცანების მისაღწევად დირექტორი:

- განაგებს საზოგადოების ქონებას (ფინანსური სახსრების ჩათვლით)
- აწარმოებს ყველა სახის გარიგებას და სხვა იურიდიულ აქტებს, გამოსცემს მინდობილობებს, ხსნის ბანკებში კომპანიის საანგარიშსწორებო და სხვა ანგარიშებს
- მოქმედებს კომპანიის სახელით, წარმოადგენს მის ინტერესებს მესამე პირებთან
- განიხილავს შტატების დამატების საკითხს და იღებს გადაწყვეტილებას კადრების დანიშვნისა და გათავისუფლების თაობაზე
- სტრატეგიიდან გამომდინარე, განყოფილებების დონეზე განიხილავს სამოქმედო გეგმას
- შეიმუშავებს ბიზნეს პროცესებს ან/და ცვლილებები შეაქვს მათში
- განიხილავს მიღებული გადაწყვეტილებების შესრულების მდგომარეობას
- განიხილავს მიმდინარე პრობლემურ საკითხებს, იღებს გადაწყვეტილებას და ანხორციელებს მონიტორინგს მათ აღსრულებაზე
- ანხორციელებს ფინანსური შედეგების ანალიზს და შესრულებული სამუშაოების შედეგების შეფასებას
- ახორციელებს სხვა საჭირო ქმედებებს საზოგადოების მიზნების მისაღწევად

კომპანიის საქმიანობის ძირითადი მაკონტროლებელია:

- საგადასახადო ორგანო;
- ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური;
- სურსათის ეროვნული სააგენტო, რომელიც ახორციელებს სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის სფეროში არსებული კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისობის დადგენას

კომპანია ასრულებს საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის და ბიზნეს ოპერატორის მოთხოვნებს; ასევე, მკაცრად კონტროლდება პროდუქციის ხარისხი და ვარგისიანობის ვადები, ქართული ეტიკეტირება და ა.შ. კომპანიის პრიორიტეტს ასევე წარმოადგენს საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის მოთხოვნების დაცვა.

3. საქმიანობის შედეგები

2018 წელში კომპანიის საქმიანობა გაფართოვდა, რაც აისახა გაზრდილ ამონაგების მაჩვენებელშიც. 2018 წელში კომპანიას დაემატა ახალი მომწოდებლები ტკბილეულის და საყოფაცხოვრებო ქიმიის მიმართულებაში.

2018 წელში გაიზარდა მომხმარებელთა რაოდენობა დაახლოებით 600 ერთეულით. 2018 წელში გაიზარდა ასევე ქსელური მომხმარებლები, კერძოდ კი მან დაიწყო თანამშრომლობა გუდვილთან და ორ ნაბიჯთან. 2018 წელში შემოსავლების ზრდას ხელი შეუწყო თავის მხრივ ქსელური მაღაზიების გაფართოებამ.

2018 წელში კომპანიამ გახსნა ახალი საწყობი ქუთაისში, რომელიც უზრუნველყოფს დასავლეთ საქართველოს მომარაგებას პროდუქციით.

2018 წლის ფინანსური შედეგები შეჯამებულია ქვემოთ განყოფილებაში.

4. კომპანიის განვითარების გეგმები

კომპანია იმყოფება მუდმივი განვითარების პროცესში, რაც განპირობებულია ბაზარზე არსებული დიდი კონკურენციით. დღესდღეობით კომპანიას გააჩნია საკუთარი ნიშა და კონკრეტულ სეგმენტზეა ორიენტირებული, სამომავლოდ იგეგმება კომპანიის პოზიციების მეტად გამყარება და გაფართოება. აღნიშნულის მისაღწევად, კომპანიის ხელმძღვანელობა გეგმავს:

- ასორტიმენტის განვითარებას - ახალი პროდუქტების შერჩევა, დანერგვა და სწორი ფასდადგენა
- ხარისხიანი მომსახურების უზრუნველყოფას - ოპერაციების შეუფერხებელი წარმოება, მომსახურების ხარისხის კონტროლი და განვითარება; ამ გეგმის უზრუნველსაყოფად კომპანიამ 2018 წელში გახსნა ახალი საწყობი ქუთაისში, რათა კომპანიის მომსახურება გამხდარიყო უფრო ეფექტური. ამ მიმართულებით კომპანიამ ასევე შეამცირა ვადაგასული-დაზიანებული პროდუქციის დაბრუნების პერიოდი, რაც ამცირებს შეფერხებას გაყიდვებში და ხელს უწყობს თანხების დროულ ამოღებას. ოპერაციების შეუფერხებელი წარმოებისთვის კომპანია გეგმავს სატვირთო ავტომანქანების რაოდენობის ზრდასაც.
- გაყიდვების სტიმულირებას - ბრენდების განვითარება; სავაჭრო ქსელის განვითარება; სხვადასხვა მარკეტინგული აქტივობები

კომპანიის წინაშე დგას შემდეგი ამოცანები, რომელთა მიღწევასაც გეგმავს მომავალში:

- კორპორატიული კლიენტების მოზიდვა და მათთან ურთიერთობის განვითარება:
 - ქსელის გაფართოება და კლიენტების მონაცემთა ბაზების განვითარება
 - სპეციფიკის მიხედვით ოპტიმალური შეთავაზებების მომზადება და პირდაპირი კომუნიკაცია
 - მომხმარებლებთან უკუკავშირი
 - არსებულ კლიენტებთან ურთიერთობის განვითარება
 - ბრენდების ცნობადობისა და სანდოობის გაზრდა
- მომსახურების მაღალი ხარისხი:
 - კადრების შერჩევა და უწყვეტი სწავლება
 - მომსახურების ხარისხის კონტროლი
 - მომსახურების სტანდარტების განსაზღვრა და დანერგვა
- ოპერაციების შეუფერხებელი წარმოება:
 - პროდუქციის მარაგებზე მოთოვნებისა და პროგნოზების განსაზღვრა (გაყიდვების პროგნოზირების მიხედვით)
 - ლოჯისტიკა
 - შესყიდვების განხორციელება
 - საწყობებში და საწყობებს შორის მარაგების ეფექტიანი მართვა

- ასორტიმენტის განვითარება:
 - არსებული პროდუქტების გაყიდვების ანალიზი და გამოუყენებელი პოტენციალის შეფასება
 - ფასწარმოქმნა
- ქსელის განვითარება:
 - პოტენციური რეგიონების/რაიონების გამოყოფა და სპეციფიკის შესწავლა
 - არსებული მაღაზიების გაყიდვების ანალიზი რეგიონების/რაიონების მიხედვით
 - ბაზარზე გაყიდვების ანალიზი
- ფინანსური ეფექტიანობის უზრუნველყოფა:
 - ბიუჯეტირების განვითარება
 - ფინანსური და ოპერაციული რისკების მართვა
 - სწორი ფასწარმოქმნა
 - ეფექტური ფინანსური აღრიცხვა-ანგარიშგების პროცესი

5. ინფორმაცია კომპანიის ფილიალების საქმიანობის შესახებ

კომპანიას ქვეყნის მასშტაბით გააჩნია ფილიალი ქუთაისში, რომლის მიზანიც არის დასავლეთ საქართველოს მომარაგება პროდუქციით. მისი მართვა ხორციელდება თბილისის ცენტრალური ოფისიდან. ასევე, ქ.თბილისში კომპანიას გააჩნია ცენტრალური საწყობი.

6. კომპანიის მიერ წარმოებული კვლევებისა და მისი განვითარების მიმოხილვა

2018 წლის განმავლობაში კომპანიის მიერ არ მომხდარა კვლევის და განვითარების სამუშაოების ჩატარება, რომელიც უკავშირდება ინოვაციური ღონისძიებების დანერგვას ახალი ან უკვე არსებული პროდუქტების განვითარების ან გაუმჯობესების მიზნით.

7. ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები

ფინანსური მაჩვენებლები

შპს „ვიჯის“ მომგებიანობის მაჩვენებელი ბოლო 2 წლის განმავლობაში სტაბილურია. 2018 წლის მდგომარეობით მთლიანმა საკუთარმა კაპიტალმა 7 მ. ლარი შეადგინა, რაც 14%-ით მეტია 2017 წლის მაჩვენებელთან შედარებით. კომპანიის აქტივები შემცირდა 3%-ით.

ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ ცხრილში

მომგებიანობა და უკუგება

	2018	2017
საერთო მოგების მარჟა	25.3%	24.9%
საოპერაციო მოგების მარჟა	3.9%	3.9%
წმინდა მოგების მარჟა	4.1%	4.2%
უკუგება კაპიტალზე	13.5%	14.2%
უკუგება აქტივებზე	8.9%	9.3%

კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები (ათას ლარში):

	2018	2017
სულ აქტივები	9,786,677	10,093,474
საოპერაციო შემოსავალი	21,620,177	19,474,489
წმინდა მოგება	885,283	809,703

ფინანსური მაჩვენებლების განმარტებები:

საერთო მოგების მარჟა = საერთო მოგება / საოპერაციო შემოსავალი

საოპერაციო მოგების მარჟა = საოპერაციო მოგება / საოპერაციო შემოსავალი

წმინდა მოგების მარჟა = წმინდა მოგება / საოპერაციო შემოსავალი

უკუგება კაპიტალზე = წმინდა მოგება / საშუალო მთლიანი კაპიტალი

უკუგება აქტივებზე = წმინდა მოგება / საშუალო მთლიანი აქტივები

არაფინანსური მაჩვენებლები

კომპანიის არაფინანსურ მაჩვენებლებში შეიძლება გამოიყოს შემდეგი:

	2018
ნომენკლატურის რაოდენობა	400
აქტიური მომხმარებლების რაოდენობა	3,000-მდე
თანამშრომელთა რაოდენობა	153

8. ინფორმაცია საკუთარი აქციების შეძენის შესახებ

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის კომპანიის მიერ არ მომხდარა საკუთარი აქციების შეძენა და გასხვისება.

9. დამატებითი განმარტებები ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ

კომპანიის მენეჯმენტის შეფასებით ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილი თანხები არ საჭიროებს დამატებით განმარტებებს. აღნიშნული ინფორმაცია განმარტებულია ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებით შენიშვნებში.

ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

რისკი თანდაყოლილი მოვლენაა კომპანიის საქმიანობისთვის, მაგრამ მისი მართვა შესაძლებელია რეგულარული ღონისძიებებით, როგორცაა რისკების იდენტიფიცირება, შეფასება და ყოველდღიური მონიტორინგი, რის შედეგადაც იქმნება კონტროლის მექანიზმები.

კომპანია თავისი საქმიანობის პროცესში დგას საოპერაციო და ფინანსური რისკების წინაშე.

კომპანიის საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე მნიშვნელოვან საოპერაციო რისკებში შეიძლება გამოიყოს შემდეგი რისკები:

დისტრიბუტორების/ექსპედიტორების მიერ კომპანიის კუთვნილი თანხების მითვისება - სავაჭრო წარმომადგენლებს აქვთ უშუალო შეხება დებიტორებისგან გადახდილ თანხებთან, რაც განაპირობებს თანხების დატაცების რისკს. კომპანიაში აღნიშნული რისკის შესამცირებლად შექმნილია მონიტორინგის სამსახური, რომელსაც შემუშავებული აქვს დისტრიბუტორების და ასევე, დებიტორების რეგულარული გადამოწმების კალენდარი, რომელიც მოიცავს კომპანიის ხელმძღვანელობასთან ერთად შემუშავებულ შემოწმების პროცედურებს. არაკეთილსინდისიერი სავაჭრო წარმომადგენლისგან დაზღვევას კომპანია ასევე უზრუნველყოფს მათი კუთვნილი უძრავი ქონების დაგირავებით.

პროდუქტის ხარისხის გაფუჭება - რადგან კომპანია ძირითადად ახორციელებს ტკბილეულობის დისტრიბუციას, ზაფხულის პერიოდში კომპანია დგას მარაგების გაუფასურების რისკის წინაშე. აღნიშნული რისკების შესამცირებლად კომპანია ეტაპობრივად ახორციელებს ავტოპარკის განახლებას და ისეთი სატრანსპორტო საშუალებების შესყიდვას, რომლებიც აღჭურვილია კონდენციონერით და ინარჩუნებს ტემპერატურულ რეჟიმს. აღნიშნული გზით კომპანია ასევე ახორციელებს კლიენტების პრეტენზიების შემცირებას.

თანამშრომლების ბრუნვაობა - აღნიშნული ბიზნესისთვის დამახასიათებელის სავაჭრო წარმომადგენლების მაღალი ბრუნვაობა, რაც წარმოადგენდა პრობლემას კომპანიისთვის, რადგან შესაძლოა კადრი მოულოდნელად წასულიყო დაკავებული პოზიციიდან, კომპანიას კი არ ჰყოლოდა მისი შემცვლელი კადრი. 2018 წლიდან კომპანიამ შექმნა ადამიანური რესურსების მართვის

განყოფილება, რომელიც უზრუნველყოფს კადრების რეკრუტმენტის პროცესის ორგანიზებას - დამატებითი კადრების აყვანას და მომზადებას. კვალიფიციური კადრების შერჩევისთვის მოქმედებს სისტემა, რომელიც რამოდენიმე ეტაპადაა დაყოფილი: 1. ვაკანსიის გამოცხადება; 2. პირველადი შერჩევა CV-ს საშალებით; 3. გასაუბრება; 4. შერჩეული კანდიდატების აყვანა 3 თვიანი გამოსაცდელი ვადით. მხოლოდ ამ ეტაპების გავლის შემდეგ ხდება კომპანიის შტატის თანამშრომელი. არსებული პერსონალის განვითარებაზე ზრუნვა მუდმივად ხდება სხვადასხვა ტრენინგი/სემინარების საშუალებით. თანამშრომლების მოტივაციისთვის მოქმედებს საბონუსე სისტემა და სხვა სამოტივაციო სქემები.

ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებიდან გამომდინარე, კომპანიაზე ვრცელდება შემდეგი სახის რისკები:

- საკრედიტო რისკი;
- ლიკვიდურობის რისკი;
- სავალუტო რისკი;

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის კომპანიის ფინანსური ზარალის რისკი, ერთი მხარის მიერ მეორე მხარის მიმართ ფინანსური ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში.

ფინანსური აქტივები, რომელთან დაკავშირებითაც კომპანიას წარმოექმნება პოტენციური საკრედიტო რისკი, წარმოდგენილია ძირითადად სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებებით, ასევე ფულადი სახსრებით და მათი ეკვივალენტებით (გარდა ნაღდი ფულისა). კომპანია საკრედიტო რისკს მართავს გარკვეული პრინციპების საფუძველზე, რომლებიც ითვალისწინებს ყველა დაუფარავი საკრედიტო თანხის დაფარვის კონტროლს და პრობლემური ფინანსური აქტივების ინტენსიურ მართვას. კომპანია საკრედიტო რისკის მართვის პოლიტიკის ფარგლებში ახორციელებს ფინანსური აქტივების საკრედიტო ხარისხის ანალიზს. ფინანსური მოთხოვნების საკრედიტო ანალიზი მოცემულია ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებით შენიშვნაში (განმარტებითი შენიშვნა 14).

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდობის რისკი არის იმის რისკი, რომ სუბიექტს გაუძნელდება ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული ვალდებულებების შესრულება. ლიკვიდობის რისკი ეხება ფინანსური ვალდებულებების უზრუნველსაყოფად საკმარისი სახსრების არსებობას, რომლებიც უკავშირდება ფინანსურ ინსტრუმენტებს მათი დაფარვის ვადის დადგომისას. ლიკვიდობის რისკი არსებობს მაშინ, როცა აქტივებისა და ვალდებულებების დაფარვის ვადები ერთმანეთს არ ემთხვევა. ხელმძღვანელობას მიაჩნია რომ კომპანიას გააჩნია საკმარისი ლიკვიდური აქტივები მიმდინარე ვალდებულებების დასაკმაყოფილებლად. ფინანსური ინსტრუმენტების ლიკვიდურობის ანალიზი მოცემულია ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებით შენიშვნაში (განმარტებითი შენიშვნა 4).

სავალუტო რისკი

ვინაიდან კომპანიის საქმიანობას წარმოადგენს საქართველოში მარაგების იმპორტი და დისტრიბუცია, მომწოდებლებთან ანგარიშსწორება ხორციელდება უცხოურ ვალუტაში. შესაბამისად, კომპანიის წინაშე არსებულ მნიშვნელოვან რისკებს მიეკუთვნება ეროვნული ვალუტის რყევებით გამოწვეული სავალუტო რისკები.

უცხოური ვალუტის რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის მომავალი ფულადი ნაკადების რეალური ღირებულება შეიცვლება საკურსო სხვაობის განაკვეთების ცვლილებების გამო. საქართველოში ფინანსური ინსტრუმენტების განვითარებული ბაზრის არარსებობიდან გამომდინარე, ხელმძღვანელობას არ გააჩნია საშუალება მოახდინოს კომპანიის სავალუტო რისკის ჰეჯირება. ფინანსური ინსტრუმენტების სავალუტო ანალიზი მოცემულია ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებით შენიშვნაში (განმარტებითი შენიშვნა 4).

ფინანსური რისკების მართვასთან დაკავშირებით კომპანიის პოლიტიკა

კომპანიის რისკის მართვის პოლიტიკა განისაზღვრება კომპანიაზე რისკების გავლენის განსაზღვრისა და ანალიზის მიზნით, რისკის შესაბამისი ფარგლებისა და საკონტროლო მექანიზმების დასადგენად, ასევე რისკისა და მისი ფარგლების მონიტორინგისათვის. რისკის მართვის პოლიტიკა და სისტემა რეგულარულად გადაიხედება მიმდინარე საბაზრო მდგომარეობისა და კომპანიის საქმიანობაში ცვლილებების გასათვალისწინებლად. რისკების მართვა ხორციელდება მენეჯმენტის მიერ კომპანიის საოპერაციო ერთეულებთან ერთად. კომპანიის საოპერაციო სიმარტივიდან გამომდინარე, არ არსებობს წერილობითი პოლიტიკა რისკის მართვის შესახებ.

ლიკვიდობის და ფულადი ნაკადების რისკების შემცირებისთვის კომპანიის რეგულარულ მომხმარებლებს ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით წლის დასაწყისში უდგინდება საკრედიტო ლიმიტები, რომელიც შეტანილია პროგრამულად და გაყიდვების პერსონალს არ აძლევს მისი გადაჭარბების საშუალებას. ამით შეძლებისდაგვარად იზღუდება დებიტორული დავალიანების ზრდას; აღნიშნული პოლიტიკა ამცირებს ასევე საკრედიტო რისკებსაც. ვადაგადაცილებული დავალიანებების ამოღების მიზნით კომპანიის მხრიდან ხდება გაფრთხილება რამდენჯერმე. რისი უგულებელყოფის შემთხვევაში კომპანია მიმართავს კანონით გათვალისწინებულ სხვა საშუალებებს, მათ შორის აღსრულების ეროვნულ ბიუროს.

კომპანიაში დანერგილია შიდა კონტროლის მექანიზმები, რითიც ხორციელდება ასევე საოპერაციო რისკების კონტროლი:

1. ნაღდი ფულის მოძრაობის და სალაროს ნაშთების მინიმუმამდე დაყვანა. ასევე, სალაროს ნაშთების პერიოდული გადამოწმება;
2. რეალიზაციის შემთხვევაში ფასების ცვლილების აკრძალვა საცალო ინტერფეისში;
3. ფინანსური განყოფილების მხრიდან სპეციალური რეპორტებით კონტროლი სხვადასხვა ჭრილში. მაგ.: თვითღირებულებაზე დაბალი ფასით ან დაბალი მარჟით გაყიდვების შემთხვევების გადამოწმება;
4. მარაგების პერიოდული ინვენტარიზაციები;
5. დებიტორ-კრედიტორებთან მოთხოვნა-ვალდებულებების კონტროლი.

კომპანიის მენეჯმენტს სრული პასუხისმგებლობა ეკისრება კომპანიის რისკების მართვის სისტემის დაწესებასა და ზედამხედველობაზე.

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებული მმართველობის ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2019 წლის 23 სექტემბერს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი: _____ / დ.ქალდანი /

ფინანსური დირექტორი: _____ / მ.გელაძე /

2018 წელი

ლიკვიდობის და ფულადი ნაკადების რისკების შემცირებისთვის კომპანიის რეგულარულ მომხმარებლებს ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით წლის დასაწყისში უდგინდება საკრედიტო ლიმიტები, რომელიც შეტანილია პროგრამულად და გაყიდვების პერსონალს არ აძლევს მისი გადაჭარბების საშუალებას. ამით შეძლებისდაგვარად იზღუდება დებიტორული დავალიანების ზრდას; აღნიშნული პოლიტიკა ამცირებს ასევე საკრედიტო რისკებსაც. ვადაგადაცილებული დავალიანებების ამოღების მიზნით კომპანიის მხრიდან ხდება გაფრთხილება რამდენჯერმე. რისი უგულვებელყოფის შემთხვევაში კომპანია მიმართავს კანონით გათვალისწინებულ სხვა საშუალებებს, მათ შორის აღსრულების ეროვნულ ბიუროს.

კომპანიაში დანერგილია შიდა კონტროლის მექანიზმები, რითიც ხორციელდება ასევე საოპერაციო რისკების კონტროლი:

1. ნაღდი ფულის მოძრაობის და სალაროს ნაშთების მინიმუმამდე დაყვანა. ასევე, სალაროს ნაშთების პერიოდული გადამოწმება;
2. რეალიზაციის შემთხვევაში ფასების ცვლილების აკრძალვა საცალო ინტერფეისში;
3. ფინანსური განყოფილების მხრიდან სპეციალური რეპორტებით კონტროლი სხვადასხვა ჭრილში. მაგ.: თვითღირებულებაზე დაბალი ფასით ან დაბალი მარჟით გაყიდვების შემთხვევების გადამოწმება;
4. მარაგების პერიოდული ინვენტარიზაციები;
5. დებიტორ-კრედიტორებთან მოთხოვნა-ვალდებულებების კონტროლი.

კომპანიის მენეჯმენტს სრული პასუხისმგებლობა ეკისრება კომპანიის რისკების მართვის სისტემის დაწესებასა და ზედამხედველობაზე.

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებული მმართველობის ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2019 წლის 23 სექტემბერს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი:

ფინანსური დირექტორი:

/ დ.ქალდანი /

/ მ.გელაძე /